პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სპეციალური ანგარიში

საჯარო დაწესებულებათა მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მდგომარეობა და ტენდენციები

შინაარსი

წინასიტყვაობა

წარმოგიდგენთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სპეციალურ ანგარიშს საჯარო დაწესებულებების მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით არსებითად შეიცვალა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მომწესრიგებელი ნორმები, მიდგომები და სტანდარტები. კანონმდებელმა, ერთი მხრივ, დააკონკრეტა საკითხები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის 28 დეკემბერს მიღებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლებში წარმოშობდა პრაქტიკულ პრობლემებს, ხოლო, მეორე მხრივ, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს დაუდგინა ახალი მოთხოვნები და გააუქმა გარკვეული სახის ვალდებულებები. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისთვის კანონით დადგენილი ვალდებულების თვალსაჩინო მაგალითია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი, რომელიც მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვასა და, მოთხოვნის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის წარდგენას ეხება.

ეროვნული კანონმდებლობა, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციისა“ და „კომპეტენტური ორგანოების მიერ დანაშაულების პრევენციის, გამოძიების, დადგენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის, ან სასჯელთა აღსრულების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის, მონაცემთა თავისუფალი მიმოცვლისა და საბჭოს 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის მსგავსად, მაღალ სტანდარტს აწესებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსათვის მისი წარდგენის ვალდებულების თვალსაზრისით. ევროპული კანონმდებლობისგან განსხვავებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი ადგენს ინფორმაციის აღრიცხვისა და საზედამხედველო ორგანოსათვის წარდგენის კონკრეტულ ვადას, ასევე, ითვალისწინებს სპეციალურ მოწესრიგებას სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნორმით გათვალისწინებული ვალდებულების

შესრულებასთან დაკავშირებით. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა, ერთი მხრივ, განპირობებულია ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის გაძლიერებით, მეორე მხრივ კი, საქართველოს მიერ „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას, კოორდინაციასა და კონსოლიდაციას გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგრადი და ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის მიზნებისთვის კი მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისთვის, ასევე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზანია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების უზრუნველყოფა, რომელთა დაცვა მონაცემთა დამუშავების მიზნების, საფუძვლების, მონაცემთა დასაცავად მიღებული უსაფრთხოების ზომების ადეკვატურობისა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულების იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალებაა.

წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში ასახულია ძირითადი ღონისძიებები, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საჯარო სექტორისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკაში მისი ეფექტიანად დანერგვის ხელშეწყობის მიზნით განახორციელა. ამასთან, სპეციალურ ანგარიშში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ვალდებულების საჯარო სექტორში შესრულების მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზი, გამოვლენილი დადებითი ტენდენციები და პრაქტიკაში არსებული ხარვეზიანი მიდგომების შესაბამისი სახელმძღვანელო რეკომენდაციები.

თავი I. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის მნიშვნელობა

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ვალდებულებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა წარმოადგენს. აღნიშნული ვალდებულება ეხება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს, ასევე, სპეციალურ წარმომადგენელს.

კანონის 28-ე მუხლის საფუძველზე შედგენილი აღრიცხვის დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კანონით გათვალისწინებული ანგარიშვალდებულების მოთხოვნების შესრულების პროცესში დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის დახმარება[1]. კერძოდ, აღრიცხვის დოკუმენტი, მისი გამოთხოვის შემთხვევაში, მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველ ორგანოს აწვდის მნიშვნელოვან და დაწვრილებით ინფორმაციას შესაბამისი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ წარმართული დამუშავების თითოეული პროცესის შესახებ და, ამდენად, აღნიშნულ პროცესში კანონის მოთხოვნათა დაცვის თაობაზე.

აღრიცხვის დოკუმენტის წარმოება და მუდმივი განახლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების მართვას, ვინაიდან დოკუმენტზე მუშაობისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს საშუალება ეძლევა, სრულად გაიაზროს მონაცემთა დამუშავების პროცესები, შეაფასოს დამუშავების მიზნობრიობა და პროპორციულობა, აღმოაჩინოს მონაცემთა არამართლზომიერი დამუშავების შემთხვევები და განახორციელოს სათანადო ცვლილებები მიმდინარე კანონდარღვევების აღმოსაფხვრელად.

„ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“General Data Protection Regulation” (GDPR)) 30-ე მუხლთან დაკავშირებით ირლანდიის მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველი ორგანოს „მონაცემთა დაცვის კომისიის“ (“DPC”) მიერ გამოცემულ ერთ-ერთ სახელმძღვანელო დოკუმენტში განმარტებულია, რომ აღრიცხვის დოკუმენტი წარმოადგენს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის

[1] ანგარიშვალდებულებას ადგენს, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა დამუშავებისას უზრუნველყოს არა მხოლოდ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა, არამედ მან უნდა შეძლოს მათთან შესაბამისობის დასაბუთება.

უზრუნველყოფისა და რისკების მართვის ინსტრუმენტს. ასევე, იგი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ეხმარება მონაცემთა დამუშავების ფაკულტატური პროცესების იდენტიფიცირებაში.[2]

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აღრიცხვის დოკუმენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის გარეშე სათანადოდ და სრულყოფილად ვერ შეფასდება მონაცემთა დამუშავების თითოეული პროცესის კანონიერება. შესაბამისად, აღრიცხვის დოკუმენტის კანონის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვით წარმოება არ არის მხოლოდ ფორმალური მოთხოვნა, არამედ წარმოადგენს სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომელიც აუმჯობესებს მონაცემთა არამართლზომიერი დამუშავების რისკების ეფექტიან მართვას და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მონაცემთა დამუშავების პროცესების სრულყოფილად გააზრებასა და მათ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ეხმარება. აღნიშნული დოკუმენტი, ასევე, ხელს უწყობს მონაცემთა დამუშავების პროცესების გამჭვირვალობას, მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზებას და მონაცემთა სუბიექტების ნდობის ჩამოყალიბებას.

აღრიცხვის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს დაწვრილებით ინფორმაციას მონაცემთა კატეგორიის, სახეების, დამუშავების თითოეული პროცესის შესახებ (მაგალითად, ვინაიდან სხვადასხვა სახის მონაცემთა შენახვის ვადა განსხვავებულია, დოკუმენტი უნდა შეიცავდეს თითოეული სახის მონაცემის შენახვის ვადას)[3]. აღრიცხვის დოკუმენტი უნდა იყოს სრული, დამოუკიდებლად გამოყენებადი, რომელიც მკაფიოდ ასახავს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას. ასევე, დოკუმენტი უნდა იყოს გასაგები დამატებითი განმარტების გარეშე[4] და მასზე დაყრდნობით მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველმა ორგანომ უნდა მიიღოს ზუსტი ინფორმაცია ორგანიზაციაში მიმდინარე მონაცემთა დამუშავების პროცესების შესახებ. ანგარიშვალდებულების პრინციპიდან გამომდინარე, აღრიცხვის დოკუმენტი ზედამხედველ ორგანოს წარედგინება იმგვარი ფორმით, რომელიც ხელს შეუწყობს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაჩინოებას და ხსენებულ ორგანოს დაეხმარება ფუნქციათა შესრულებაში. არ არის მიზანშეწონილი, მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველ ორგანოს მოუწიოს მრავალი ცალკეული

[2] Guidance Note: Records of Processing Activities (RoPA) under Article 30 GDPR, April 2023, Data Protection Commission (DPC), 6.
[3] იქვე, 6.
[4] იქვე, 10.

დოკუმენტის განხილვა, რათა მოძებნოს ინფორმაცია, რომელსაც აღრიცხვის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს[5].

გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტი არსებულ მდგომარეობას უნდა ასახავდეს. შესაბამისად, აუცილებელია მისი პერიოდული გადახედვა, ხოლო გარემოების ცვლილების შემთხვევაში - დოკუმენტში შესაბამისი შესწორების შეტანა. დოკუმენტის განახლების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, განისაზღვროს მისი გადახედვის პერიოდულობა და პროცედურა. ამავე მიზნით, აუცილებელია ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების სათანადო ინფორმირება პერსონალური მონაცემების დამუშავების მომცველი ნებისმიერი ახალი პროცესის დაწყებისას აღრიცხვის დოკუმენტის განახლების საჭიროების თაობაზე.

შესაბამისად, ინფორმაციის აღრიცხვას რამდენიმე პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რომელთა შორისაა:

- ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა – ვალდებულების შესრულებით შესაბამისი დაწესებულება ადასტურებს მის საქმიანობაში მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპებისა და ვალდებულებების გათვალისწინებას;
- გამჭვირვალობის ზრდა – მონაცემთა სუბიექტებსა და საზედამხედველო ორგანოებს აქვთ შესაძლებლობა, უკეთ გაეცნონ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და მოცულობას;
- რისკების მართვა – დამუშავების კონკრეტული საქმიანობების ჩამონათვალი ამცირებს კანონდარღვევის რისკს და აძლიერებს მონაცემთა უსაფრთხოებას;
- კონტროლის ეფექტიანობა – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მარტივად შეუძლია შეაფასოს დამუშავების კანონიერება.

ამრიგად, ინფორმაციის აღრიცხვა არ არის მხოლოდ ფორმალური მოთხოვნა, არამედ წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც ორგანიზაციის შიდა მართვას და მოქალაქეთა უფლებების დაცვას უწყობს ხელს.

[5] Guidance Note: Records of Processing Activities (RoPA) under Article 30 GDPR, April 2023, Data Protection Commission (DPC), 12.

თავი II. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებას ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის[6] იმპლემენტაციის პროცესში. კანონით გათვალისწინებული სიახლეების კომპლექსურობიდან გამომდინარე, სამსახური აქტიურად ცდილობს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების დახმარებას - მათი მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმატიული რეგულაციის შესრულების მონიტორინგის მიზნით, სამსახურმა გეგმური თუ არაგეგმური შემოწმებების ფარგლებში სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საკითხი შეისწავლა. განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად, კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ, აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებული ზოგადი გამოწვევების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკაში მისი ეფექტიანად დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, საჯარო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის საკითხები მასშტაბურად შეესწავლა. შესაბამისად, სამსახურის კორესპონდენციით[7] საჯარო დაწესებულებებს მათ მიერ აღრიცხული ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ, რომლის მიზანს კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისას არსებული ნაკლოვანი პროცესების გამოსასწორებლად ე. წ. „რბილი სამართლის“ ინსტრუმენტების შემუშავება წარმოადგენდა.

ინფორმაციის წარმოსადგენად დაწესებულებებს ორ თვემდე ვადა განესაზღვრათ. ამავდროულად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტის შემუშავებისა და შევსების პროცესის სრულყოფის მიზნით, სამსახურში წარმოდგენილი საკონსულტაციო მომართვებისა თუ სატელეფონო ზარების ოდენობა იზრდებოდა, ხოლო შეკითხვებიდან გამოკვეთილი საჭიროებებისა და დაბრკოლებების დაძლევის მიზნით,

[6] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023.

[7] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025 წლის 7 ივლისის №PDPS 6 25 00011808 წერილი.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ორი საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრის (ვებინარი) ჩატარება, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა კანონის 28-ე მუხლის მნიშვნელობა, ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტის შევსების შინაარსობრივი და ტექნიკური მხარე, ასევე, პასუხი გაეცა საჯარო უწყებათა წარმომადგენლების მხრიდან დასმულ შეკითხვებს. ამასთან, მეორე საინფორმაციო შეხვედრაზე სამსახურის თანამშრომლებმა განიხილეს უწყებების მიერ სამსახურში წარმოდგენილი კორესპონდენციიდან იდენტიფიცირებული ხშირად დასმული შეკითხვები, მათ შორის:

- აუცილებელია თუ არა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში მონაცემთა დამუშავების საფუძვლის მითითება;
- რა ფორმით უნდა განხორციელდეს (ელექტრონული თუ წერილობითი) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა;
- არის თუ არა დასაშვები, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტი იყოს პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი;
- არის თუ არა ვალდებული დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა;
- ინდივიდუალურად უნდა მოხდეს თუ არა ფიზიკური პირის თაობაზე ინფორმაციის ასახვა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვისას;
- აუცილებელი/შესაძლებელი არის თუ არა ცვლილების შეტანა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში;
- ევალება თუ არა უწყების ოფიცერს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა;
- რა ვადაში უნდა მოხდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის აღრიცხვის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის შემდგომ;
- აუცილებელია თუ არა თითოეული მონაცემის ცალკეულად გამოყოფა და მისი დამუშავების პროცესის აღწერა; მისაღებია თუ არა კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის მხრიდან დამუშავების პროცესების აღწერა;
- უცხო ქვეყანაში თანამშრომელთა მივლინების შემთხვევაში, აუცილებელია თუ არა უცხო ქვეყნისთვის მონაცემების გადაცემის გრაფაში ინფორმაციის ასახვა და სხვ.

საგულისხმოა, რომ სამსახურის მიმართვის საპასუხოდ გაზიარებული დოკუმენტების პარალელურად, უწყებათა უმრავლესობამ დააფიქსირა თხოვნა მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტის კანონთან თავსებადობის

შეფასების შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ თითოეული ორგანიზაციის/დაწესებულების მიერ აღრიცხული მონაცემთა დამუშავების პროცესი სპეციფიკურია. აღრიცხვის ფარგლებში იდენტიფიცირებული ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება დაწესებულებების კომპეტენციის და პრაქტიკის ზედმიწევნით გამოკვლევას საჭიროებს, რისთვისაც ერთჯერადი კომუნიკაცია და მხოლოდ მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენა საკმარისი არ არის. ამავდროულად, უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მასშტაბმა სამსახურს შესაძლებლობა მისცა, გამოევლინა და განეზოგადებინა კანონის 28-ე მუხლის შესრულების პროცესში არსებული გამოწვევები და ტენდენციები. შესაბამისად, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში[8], წარმოდგენილი ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, წინამდებარე სპეციალური ანგარიში მომზადდა.

სპეციალური ანგარიშის მომზადებისას გაანალიზდა საჯარო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი 2900-ამდე წერილი და კანონის 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დასტურად გაზიარებული 2600-ამდე დოკუმენტი. მიღებული კორესპონდენციის დაახლოებით 70% საგანმანათლებლო დაწესებულებების მომართვებია, რომელთა უმეტესობა საჯარო სკოლებს მიემართება.

თავი III. ვალდებულების შესრულების მდგომარეობა, მიგნებები და რეკომენდაციები

1. ზოგადი ტენდენციები

წარმოდგენილი დოკუმენტების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ინფორმაციის აღრიცხვის მიზნებისთვის საჯარო უწყებათა მხრიდან დამკვიდრებული მიდგომები შინაარსობრივად და სტრუქტურულად მსგავს ელემენტებს შეიცავს. ამავდროულად, წარმოდგენილი ინფორმაციის ფარგლებში იკვეთება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტენდენციები, რომელთა დეტალური მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილია შემდეგ თავებში. საჯარო დაწესებულებათა მიერ კანონის 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესახებ ზოგადი მდგომარეობა კი შემდეგია:

[8] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) 48-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

- წარმოდგენილი დოკუმენტების სიმრავლე ცხადყოფს საჯარო დაწესებულებების მზადყოფნას, ითანამშრომლონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან, რაც მისასალმებელია და დადებითად უნდა შეფასდეს;
- საჯარო დაწესებულებათა მიდგომა კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული აღრიცხვის დოკუმენტის შემუშავების თვალსაზრისით მოიცავს მონაცემთა დამუშავების თითოეული პროცესის სიღრმისეულ ანალიზს, რაც მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველსაყოფად;
- წარმოდგენილი აღრიცხვის დოკუმენტები უმრავლეს შემთხვევაში პასუხობს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნებს და მათში ფორმალურად ასახულია კანონით განსაზღვრული ყველა სახის ინფორმაცია;
- დაწესებულებათა უმრავლესობამ შიდაუწყებრივი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით დაამტკიცა მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის ფორმა და მასში მისი შევსების მცირე ინსტრუქცია ასახა. მართალია, კანონის მიხედვით აღნიშნული სავალდებულო არ არის, თუმცა პროცესის თანმიმდევრულობისთვის ვალდებულების ამგვარი ფორმალიზება ხშირად ხელსაყრელია და მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად შემუშავებულ მიდგომათა სტრუქტურიზებას უწყობს ხელს;
- 28-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაციის აღრიცხვის გარდა, დაწესებულებათა უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტი მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციასაც ასახავდა. აღნიშნული მიდგომა მისასალმებელია, ვინაიდან მონაცემთა დამუშავების პროცესის სრულად აღწერა ხელს უწყობს დამუშავების პროცესის კანონიერად წარმართვას და დადებით გავლენას ახდენს მონაცემთა სუბიექტის უფლებათა რეალიზებაზე. მაგალითად, თუკი დაწესებულება დამატებით აღრიცხავს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, აღნიშნული დიდწილად უზრუნველყოფს შემდგომში მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენციას. ამასთანავე, დაწესებულებას გაუმარტივებს, მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტისთვის იმგვარი ინფორმაციის მიწოდებას, რომლის აღრიცხვის ვალდებულებას კანონის 28-ე მუხლი არ ითვალისწინებს, თუმცა მათზე ხელმისაწვდომობის უფლება კანონის III თავით თითოეული ფიზიკური

პირისთვის გარანტირებულია (მაგ., მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება იცოდეს მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყარო, მონაცემთა დამუშავების საფუძველი[9]).

უწყებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- ინფორმაციის აღრიცხვის ფორმათა უმრავლესობა იწყება „დამუშავების მიზნით“, თუმცა მასში ასახული ინფორმაცია, თავისი არსით, მონაცემთა დამუშავებისთვის განსაზღვრული ცალკეული პროცესის აღწერას წარმოადგენს და არა მონაცემის დამუშავების მიზნობრიობას. გარდა ამისა, დოკუმენტში ინფორმაციის ასახვის ფორმალური გამართულობისთვის გასათვალისწინებელია შემთხვევები, როდესაც აღრიცხვის დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.[10] აღნიშნული კი ვერ ჩაითვლება კანონთან თავსებად მოცემულობად, ვინაიდან ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, აღრიცხვის დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, სპეციალური წარმომადგენლის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია, რათა თვალსაჩინო იყოს, რომელი ორგანიზაციის და რა საქმიანობის ფარგლებშია ინფორმაცია მითითებული;
- მიუხედავად იმისა, რომ კანონის 28-ე მუხლი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას მონაცემთა დამუშავების პროცესის იდენტიფიცირების აუცილებლობასა და აღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვის შესახებ, ნორმის სისტემური განმარტებით ნათელია, რომ უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს კონკრეტული მონაცემთა დამუშავების შემთხვევა ან პროცესი, რომელსაც შემდგომი ინფორმაცია უკავშირდება;
- წარმოდგენილი დოკუმენტების უმრავლესობა შემუშავებულია “Excel”-ის ფორმატში, თუმცა წერილებს ცალკეულად ერთოდა ასევე “Word”-ისა და “PDF” ფორმატის დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა დაწესებულებამ

[9] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-13 მუხლი.

[10] დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, სპეციალური წარმომადგენლის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია.

აღრიცხვის დოკუმენტის ნაცვლად, სამსახურის მიმართ მომზადებული წერილის ფორმით წარმოადგინა ინფორმაცია დამუშავების ცალკეულ პროცესებთან დაკავშირებით. ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტის რომელიმე კონკრეტული ფორმით შემუშავება საკანონმდებლო მოთხოვნა არ არის, მეტიც - ნებისმიერი ფორმატი მისაღებია, თუ კანონით გათვალისწინებული ყველა სავალდებულოდ აღსარიცხი ინფორმაცია ასახული იქნება სტრუქტურიზებული და მარტივად აღქმადი სახით, რამდენადაც ინფორმაციის აღრიცხვის პროცესის გამართულობის მთავარი დანიშნულება სწორედ გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სხვა პრინციპების დაცვაა;

- გარკვეულ შემთხვევებში დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა, ნაცვლად აღრიცხვის დოკუმენტისა, სამსახურში წარმოადგინეს დამუშავების პროცესთან დაკავშირებული შიდა აქტები, ინსტრუქციები და ბრძანებები, მაგალითად - პოლიტიკის დოკუმენტი, ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი და ა.შ., რაც არ შეესაბამება კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნებს, რადგან ცალკეული საკითხის შიდა ორგანიზაციული აქტით მოწესრიგება და ინფორმაციის აღრიცხვა კანონით გათვალისწინებული ორი განსხვავებული შინაარსის ვალდებულებაა. ამდენად, დამუშავების პროცესის შიდაორგანიზაციული სახით მოწესრიგება არ ათავისუფლებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ვალდებულებისგან, კანონის შესაბამისად აღრიცხოს 28-ე მუხლით მოთხოვნილი ინფორმაცია;
- ერთ-ერთი უწყების მიერ გაზიარებული ინფორმაციით გაირკვა, რომ დოკუმენტში მონაცემთა დამუშავების პროცესები აღრიცხული იყო ბოლო ერთი წლის მანძილზე განხორციელებული აქტივობების შესაბამისად. კანონის 28-ე მუხლის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და უსაფრთხოების პრინციპების უზრუნველყოფა, ამდენად, აუცილებელია, რომ შესაბამისი ვალდებულების ფარგლებში შედგენილი დოკუმენტი მონაცემთა დამუშავების სრულ ციკლს/პროცესს წარმოაჩენდეს, მკაფიოდ ჩანდეს, თუ ვინ, რა მიზნით და რა მოცულობით ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. ინფორმაციის აღრიცხვის ფორმაში მხოლოდ დროის კონკრეტულ პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ზოგადი პროცესების ასახვა ვერ იქნება კანონის მოთხოვნებთან თავსებადი;
- კანონშეუსაბამოა იმგვარი სახის დოკუმენტი, რომლითაც სხვადასხვა გვერდზე თავებად არის ასახული ზოგადი ინფორმაცია მონაცემთა კატეგორიის, საფუძვლისა და მიზნის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში დოკუმენტი დამუშავების ერთიან სურათს არ ქმნის;

- მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ცალკეულ დაწესებულებებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების დაჯგუფება კონკრეტული დეპარტამენტების ფარგლებში, მიუხედავად დოკუმენტის შიდაორგანიზაციული სარგებლიანობისა, გარკვეულ სირთულეებს ქმნის იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები რამდენიმე დეპარტამენტის მონაწილეობით მუშავდება. ამ ვითარებაში სისტემური ხედვის ჩამოყალიბება და პროცესის მთლიანობის შეფასება მნიშვნელოვნად რთულდება. მაგალითად, შრომითი ურთიერთობების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხშირად გულისხმობს როგორც ადამიანური რესურსების მართვის, ასევე იურიდიული და ფინანსური დეპარტამენტის ჩართულობას. შესაბამისად, რთულია არა კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების, არამედ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მასშტაბით განისაზღვროს კანონით დადგენილი სტანდარტების დაცულობა;
- უწყებების მიერ წარმოდგენილ ცალკეულ დოკუმენტში მონაცემთა მიმღებად იდენტიფიცირებადი სახით აღრიცხულია დაწესებულების თანამშრომელი, რაც თავის მხრივ, ქმნის მონაცემთა გამჟღავნების რისკს და რეკომენდებულია მისი გადახედვა;
- დოკუმენტების ანალიზისას გამოვლენილი ნაკლოვანებებიდან ასევე ხაზგასასმელია მონაცემთა შენახვის ვადის არასწორად დადგენის ან მისი განსაზღვრის კრიტერიუმების ბუნდოვანების საკითხი, კერძოდ, შენახვის ვადის იდენტიფიცირებისას ხშირად არის გამოყენებული ტერმინები: „მიზნის მისაღწევად საჭირო ვადის გასვლამდე“, „საჭირო ვადით“ და ა.შ. ამგვარი ბუნდოვანი დათქმებით ვერ დგინდება შენახვის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმი, რაც ვადის შეზღუდვის პრინციპის დაცვის ვალდებულების შესრულებას ეჭვქვეშ აყენებს;
- დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრობლემურია დამუშავების პროცესში ჩართული პირების სტატუსის იდენტიფიცირება. დაწესებულებებს ხშირად უჭირთ კონკრეტულ შემთხვევებში განსაზღვრონ, თუ ვინ არის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და ვინ — დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო რიგ შემთხვევებში დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი მონაცემთა მიმღებთან არის გაიგივებული;
- წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ მონაცემთა უსაფრთხოების ასპექტი არ არის შეფასებული დეტალურად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციულ ზომებზე, ხოლო ტექნიკური მექანიზმების ანალიზი შედარებით ნაკლებადაა აღრიცხული. რეკომენდებულია ტექნიკური უსაფრთხოების ზომების (მაგალითად, მონაცემთა დაშიფვრა, წვდომის

კონტროლი, ქსელური დაცვა და სხვა) უფრო სიღრმისეული და სტრუქტურირებული წარმოდგენა, რაც ხელს შეუწყობს თემის სრულფასოვან და დაბალანსებულ ანალიზს;

- საჯარო სკოლების უმრავლესობაში მონაცემთა დამუშავების პროცესები ერთგვაროვანია, მაგალითად, იყენებენ ელექტრონულ ჟურნალებს, აწარმოებენ მოსწავლეების პირად საქმეებს, ამუშავებენ პედაგოგების მონაცემებს შრომით ურთიერთობაში, ახორციელებენ დისციპლინურ წარმოებებს და სხვა. თუმცა ავტორიზაციის პროცესში მონაცემების დამუშავება ასახული აქვს მხოლოდ ცალკეულ სკოლებს. იმისათვის, რომ კანონის 28-ე მუხლის მიხედვით შექმნილი დოკუმენტის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენება დაწესებულებებმა შეძლონ, მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში მიმდინარე პროცესები ყველა მათგანს აღრიცხული ჰქონდეს, ასევე, რეკომენდებულია მათი ერთგვაროვანი ასახვა - მაგალითად, არ იყოს არსებითი განსხვავებები მონაცემთა დამუშავების მიზნებში, მონაცემების შენახვის ვადებში და ა.შ.;
- ყველაზე ხშირად დაწესებულებები დამატებით (კანონის 28-ე მუხლში ჩამოთვლილი საკითხების მიღმა) აღრიცხავენ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებსა და მონაცემთა მოპოვების წყაროებს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს, დამატებით ასახული ინფორმაცია შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, მაგ., მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და სხვ. ხოლო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები გათვალისწინებულია კანონის მე-6 მუხლით. რიგ შემთხვევებში, ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტებში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლად გვხვდება კანონის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ნაცვლად კანონის მე-6 მუხლის შესაბამისი პუნქტისა. ცალკეულ შემთხვევებში კი დამუშავების საფუძვლად არ არის განსაზღვრული კანონის მე-5-მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი და იდენტიფიცირებულია მხოლოდ სპეციალური კანონი (ხშირად - კონკრეტული ნორმის მითითების გარეშე), რაც ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვას და ქმნის მონაცემთა სუბიექტის არასწორი ინფორმირების რისკს. ასევე, საგანმანათლებლო სექტორში არსებული დაწესებულებებიდან მიღებული დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამართლებრივ საფუძვლად ხშირად დასახელებულია „მშობლის განცხადება/თანხმობა“, თუმცა ამგვარი საფუძვლები ცალკეულ შემთხვევებში აღრიცხულია კანონმდებლობით

მოწესრიგებულ პროცესებთან, ხოლო ნაცვლად თანხმობისა, მსგავს შემთხვევებში შესაფერისი საფუძვლები შესაძლოა იყოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობებისა და გარიგების შესრულება ან მომსახურების გაწევა[11];

- რაც შეეხება მონაცემთა მოპოვების წყაროს, აღნიშნული გულისხმობს ყველა პირს, ადგილს ან სისტემას, საიდანაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მოიპოვებს კონკრეტულ მონაცემებს. მაგალითად, კანონით განსაზღვრულია, რომ პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემთა მოპოვების წყაროს შესახებ, მათ შორის, მოპოვებულ იქნა თუ არა მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან. ამრიგად, მონაცემთა მოპოვების წყარო ფართო ტერმინია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს თავად მონაცემთა სუბიექტს, სხვა მესამე პირებს (მაგ., სახელმწიფო ორგანოებს), ასევე იმგვარ საჯარო წყაროებს, როგორიცაა მედია, სოციალურ ქსელები თუ ღიად ხელმისაწვდომი პლატფორმები. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სკოლების მიერ მონაცემთა მოპოვების წყაროდ ხშირად ამავე დაწესებულების (როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის) დასახელების ტენდენცია. ამგვარი მიდგომა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან თავად დაწესებულება, რომელიც აგროვებს მონაცემებს, ვერ იქნება მონაცემთა შეგროვების წყარო. დადებითი პრაქტიკის თვალსაჩინოებისთვის გამოსაყოფია სკოლების მიერ მოსწავლის მშობლის დასახელება ამგვარ გრაფაში (შესაბამის მონაცემებთან მიმართებით), ასევე, ცალკეული ელექტრონული სისტემების დაფიქსირება, რომელთა მეშვეობით ისინი მონაცემებს იღებენ. რამდენიმე საჯარო უწყება მონაცემთა მოპოვების წყაროში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ასახელებს, რომლის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდი პერსონალური მონაცემების შემცველი საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროს ერთ-ერთი მაგალითია. თუკი დაწესებულება მიიღებს დოკუმენტში კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, სხვა დამატებითი ინფორმაციის ასახვის გადაწყვეტილებას, მიზანშეწონილია დოკუმენტიდან თვალსაჩინოდ იკითხებოდეს თუ რომელი ინფორმაციაა კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების ფარგლებში ასახული და ე.წ. „დამატებით სასარგებლო ინფორმაცია“. ასევე, მნიშვნელოვანია კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრული სავალდებულო ინფორმაცია არ გახდეს მეორეხარისხოვანი დამატებითი ინფორმაციის ასახვის გამო, ან დაინტერესებული პირისთვის/მკითხველისთვის არ

[11] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ და „კ“ ქვეპუნქტები.

გართულდეს კანონით სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებული ინფორმაციის მოძიება.

2. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, სპეციალური წარმომადგენლის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია

პერსონალური მონაცემების დამუშავების თითოეული პროცესის კანონიერებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მასში მონაწილე პირების როლების, სტატუსების სწორად განსაზღვრა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პირი მონაცემთა დამუშავების პროცესში შესაძლოა მონაწილეობდეს როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ, დამუშავებაზე უფლებამოსილ, ისე თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირად.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, ხოლო მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც, აგრეთვე, შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელით, მის მიერ განსაზღვრული დავალებებისა და მითითებების საფუძველზე ამუშავებს მონაცემებს. რაც შეეხება თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს, ასეთი სტატუსით ორგანიზაციები მოქმედებენ მაშინ, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ორი ან ორზე მეტი პირი ერთობლივად განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა[12] და საშუალებებს.[13] რაც შეეხება მონაცემების დამუშავების საშუალებას, აღნიშნული შეიძლება იყოს ტექნიკური, ორგანიზაციული ან სხვა ინსტრუმენტი, რომელიც მონაცემების დასამუშავებლად (მაგ., შეგროვება, შენახვა, შეცვლა, გადაცემა, წაშლა და ა.შ.) გამოიყენება. შესაბამისად, მონაცემების დამუშავების საშუალება შეიძლება იყოს, მათ შორის: ელექტრონული პროგრამები, მონაცემთა ბაზები, ვიდეოკამერები, სკანერები, ქსელური ინფრასტრუქტურა, ფიზიკური საშუალებები და სხვა.

[12] მონაცემთა დამუშავების მიზნების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია ასახულია სპეციალური ანგარიშის III თავის მე-3 ქვეთავში.

[13] იხ., საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023) მე-3 მუხლის „ო“, „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, ცალკეულ შემთხვევებში, მხოლოდ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირზე ვრცელდება. მაგალითად, აღსანიშნავია კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი. მითითებული ნორმების მიხედვით, მონაცემთა დამუშავებისას კანონით განსაზღვრული პრინციპების, ასევე საფუძვლების დაცვისთვის პასუხისმგებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და მან უნდა შეძლოს მათთან შესაბამისობის დასაბუთება.

კანონით გათვალისწინებულია ასევე ნორმები, რომლებიც მხოლოდ მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს მიემართება. მაგალითად, კანონის 36-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია მიიღოს სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რათა დაეხმაროს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მის მიერ მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში. ასევე, კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს კანონი სპეციფიკურ ვალდებულებებს უდგენს. კერძოდ, 35-ე მუხლის მიხედვით, თუ მონაცემთა დამუშავებაში ჩართული არიან თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები, ისინი ვალდებული არიან წინასწარ წერილობით განსაზღვრონ ამ კანონის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით თითოეულის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვისა და კანონის მე-13–მე-20, 24-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შორის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტისთვის, ვინაიდან მონაცემთა სუბიექტს არ ეზღუდება თითოეული თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ინდივიდუალურად მიმართვის უფლება.

თითოეული ზემოხსენებული ნორმის დარღვევა შესაძლოა გახდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენის საფუძველი.

ამდენად, მონაცემთა დამუშავების პროცესების აღრიცხვის მიზნით შექმნილ დოკუმენტაციაში უნდა განისაზღვროს მონაცემების დამუშავებაში ჩართული პირის სტატუსი. ამასთან, აუცილებელია ფორმალური მხარის მოწესრიგება. კერძოდ,

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად, დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა მონაცემები შეიძლება, დაამუშაოს მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ან წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი სამართლებრივი აქტით არ არის მოწესრიგებული, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის ხელშეკრულების არსებობა აუცილებელი სამართლებრივი მოთხოვნაა. აღნიშნული დოკუმენტი უნდა განსაზღვრავდეს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, მიზნებს, დასამუშავებელი მონაცემის კატეგორიებს, დამუშავების პროცესის ხანგრძლივობასა და მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს.[14]

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, შეთანხმება, ასევე, შეიძლება ითვალისწინებდეს იმგვარ დებულებებს, რომლებიც, მართალია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით სავალდებულო სახით არ არის განსაზღვრული, თუმცა შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მხარეთათვის მბოჭავი და სავალდებულო ხასიათის იქნება. ამგვარი დებულებები შეიძლება შეეხებოდეს მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხს, მონაცემთა უსაფრთხოების ღონისძიებათა დეტალურ აღწერას, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხს, რომელიც ინდივიდუალური შეთანხმების საგანს წარმოადგენს.[15]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების ანალიზი ცხადყოფს მათ შორის არსებულ ერთგვარ სუბორდინაციას. მონაცემთა დამუშავების შესახებ წერილობითი შეთანხმება აყალიბებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირებს შორის ორმხრივ სახელშეკრულებო-სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც ყველაზე ახლოს დავალების ხელშეკრულების სამართლებრივ არსთან დგას. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში:

[14] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023) 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[15] Data Protection Commission - Iris Data Protection Authority, A Practical Guide to Controller-Processor Contracts, 2, <https://www.dataprotection.ie/sites/default/files/uploads/201906/190624%20Practical%20Guide%20to%20Controller-Processor%20Contracts.pdf>.

- დაუშვებელია დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ შეთანხმებით ან სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მიზნებისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა შემდგომი დამუშავება;
- დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და კანონის მოთხოვნების დასაცავად უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებას. დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შესახებ შეთანხმების დადება, თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობიდან ან/და მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების ან მონაცემთა სუბიექტის უფლებების შელახვის მაღალი საფრთხე;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს წინასწარ მოსთხოვოს ინფორმაცია მონაცემთა კანონის შესაბამისად დამუშავების შესახებ და მონიტორინგი გაუწიოს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას;
- თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაუშვებელია, დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა თავისი უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის თანხმობა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს არ ათავისუფლებს შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან;
- თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამუშავებაზე უფლებამოსილ პირსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული დავის წარმოშობის შემთხვევაში დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს სრულად გადასცეს მის ხელთ არსებული მონაცემები.[16]

კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და მისი სპეციალური წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებული არიან წერილობით ან ელექტრონულად უზრუნველყონ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, სპეციალური წარმომადგენლის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი

[16] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023) 36-ე მუხლის მე-4-მე-8 პუნქტები.

პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობის/სახელწოდების და საკონტაქტო ინფორმაციის აღრიცხვა.

საჯარო დაწესებულებების მიერ სამსახურისთვის გაზიარებული პერსონალური მონაცემების დამუშავების აღრიცხვის მიზნით შექმნილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით არაერთი დადებითი ტენდენცია, ასევე, ცალკეული ნაკლოვანებები გამოიკვეთა, რომელთა დახვეწა რეკომენდებულია. კერძოდ:

- დაწესებულებების უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ მასალებში განცალკევებული გრაფები ეთმობა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, ასევე, დოკუმენტის შესავალ ნაწილში დასახელებულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რაც ფორმალური თვალსაზრისით დოკუმენტის გამართულობაზე მიუთითებს;
- საჯარო სკოლების მიერ შექმნილ დოკუმენტაციაში ვიდეომონიტორინგთან მიმართებით სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომ - მანდატურის სამსახური) ხშირად დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არის მოხსენიებული, ხოლო მანდატურის სამსახურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მონაცემთა დამუშავების პროცესთან - „ვიდეომონიტორინგი (საჯარო სკოლები)“ მიმართებით, აღნიშნული დაწესებულება დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირად არის დაფიქსირებული. თავის მხრივ, სამსახურის მიერ განხორციელებულ მონაცემთა დამუშავების კანონირების შემოწმებებისას, საჯარო სკოლებში მიმდინარე ვიდეომონიტორინგთან დაკავშირებით მანდატურის სამსახური და სკოლა (რომელშიც ვიდეომონიტორინგი მანდატურების მონაწილეობით მიმდინარეობს) თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებად არიან შეფასებულნი. ამდენად, დასახელებული საკითხის მეტად თანმიმდევრულად აღრიცხვისთვის რეკომენდებულია სკოლებისა და მანდატურის სამსახურის მხრიდან გარემოების დამატებით გაანალიზება და მონაცემთა დამუშავების პროცესში მათი მონაწილეობის ამსახველი სტატუსის კანონის შესაბამისად შეფასება;
- ერთ-ერთ საჯარო სკოლას დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის გრაფაში ასახული აქვს შემდეგი ინფორმაცია: „1. registration.emis.ge, 2.eSchool.emis.ge, 3. eFlow.emis.ge“; „1. e-flow; 2. Eschool;... საგანმანათლებლო რესურსცენტრი (25+).“. „1. ვებგვერდი; 2. Facebook; 3. Instagram; 4. YouTube; 5. Tik-Tok“. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, მსგავსი პრაქტიკა დაფიქსირდა სხვა უწყებებშიც. გარდა ამისა, ერთ-ერთ სკოლას ამავე გრაფასთან

მიმართებით დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად მითითებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის სტატუსით ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები, საგანმანათლებლო სექტორის გარდა, სახელდება სხვა საჯარო უწყებების მიერ შექმნილ აღრიცხვის დოკუმენტშიც. ტერმინ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის განმარტებიდან გამომდინარე, ინფორმაციის აღრიცხვის მიზნებისთვის ასახული უნდა იყოს სამართალსუბიექტები, რომლებიც შესაბამისი დავალების ფარგლებში მოქმედებენ და არა პორტალები, ელექტრონული სისტემები, დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულები და სხვა;

- საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საგანმანათლებლო რესურსცენტრი ხშირად არის ასახული მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის, ზოგან კი - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის გრაფაში. ვინაიდან იგი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს წარმოადგენს და, ამდენად, დამოუკიდებელი ორგანიზაციული სტატუსი არ აქვს, მნიშვნელოვანია, რომ მოცემული შემთხვევები დაწესებულებებმა დამატებით გააანალიზონ და დაზუსტებით განსაზღვრონ პირი (დაწესებულება და არა მისი სტრუქტურული ერთეული), რომელიც შესაბამის პროცესთან მიმართებით თანხვედრაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებებთან და ამ კუთხით დადგენილ სტატუსებთან (მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი);
- სკოლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმისწარმოების ფარგლებში თუ სხვა პროცესებში დანერგილ ელექტრონულ სისტემებთან მიმართებით, რომლებსაც სკოლები იყენებენ, ასახული არ არის მათ ტექნიკურ მხარდაჭერასთან, სერვერის მართვასთან, სხვადასხვა ორგანიზაციული ზომების მიღებასთან დაკავშირებული ორგანიზაციების როლი/მონაცემების დამუშავების პროცესში მათი მონაწილეობის სტატუსი;
- ერთ-ერთი სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის მითითებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ხოლო დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის გრაფაში მონაცემთა დამუშავების ყველა პროცესთან (მაგ., „პირველკლასელების რეგისტრაცია/ჩარიცხვა“, [მოსწავლის] „სტატუსის შეჩერება“) მიმართებით სკოლის თანამშრომელი არის ასახული. მეტიც, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის

თაობაზე ინფორმაციაში ასახულია „საქმისმწარმოებელი“, „დამრიგებელი“, „დირექტორი“ „ვებგვერდის ადმინისტრატორი“. ამგვარი ტენდენცია, განათლების სექტორის გარდა, შეინიშნება სხვა დაწესებულებების შემთხვევაშიც. მსგავსი გარემოებები მოწმობს ტერმინ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის არასწორ აღქმას. ამგვარი ჩანაწერები ეწინააღმდეგება კანონს, რადგან „დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი“.[17] მნიშვნელოვანია, დაწესებულებებმა დამატებით გააანალიზონ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის შინაარსობრივი განსხვავება;

- ცალკეულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირის გრაფაში მითითებულია, რომ „კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული უფლებამოსილი პირი სკოლას არ ჰყავს“. კანონის 36-ე მუხლის მიხედვით, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება ხელშეკრულებითაც განისაზღვროს, შესაბამისად, მითითებული ინფორმაციის ამგვარად შევსება ნაკლოვანია და საკითხის თაობაზე სრულყოფილ წარმოდგენას არ ქმნის;
- რამდენიმე სკოლას დასახელებული აქვს მონაცემთა დამუშავების შემდეგი მიზანი: „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან“, ხოლო დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად ასახული აქვს „შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახური“. მნიშვნელოვანია, რომ ორივე დაწესებულება ერთგვაროვნად აიდენტიფიცირებდეს პროცესს. მაგალითად, მითითებული საქვეუწყებო დაწესებულება დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვერ იქნება, თუ აღნიშნულს არ ეთანხმება, ან თუ ეს კანონმდებლობიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს. ამდენად, მსგავსი ინფორმაციის კოორდინირებულად ასახვა მნიშვნელოვანია;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მრავალ სკოლას უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასთან მიმართებით მითითებული აქვს დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად, ხოლო თავად ცენტრს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღრიცხულ ინფორმაციაში იდენტიფიცირებული აქვს შემდეგი პროცესი: „მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლების, კვლევისა და დასაქმების მიზნით როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ“. აღნიშნული პროცესის ფარგლებში მონაცემების დამუშავების საფუძვლად ცენტრს

[17] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023) მე-3 „ჟ“ ქვეპუნქტი.

დასახელებული აქვს, მათ შორის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 აგვისტოს №115/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2005 წლიდან 2015 წლის პირველ იანვრამდე გაცემული/გასაცემი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების წესი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის №1067 ბრძანებით დამტკიცებული „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესი“. იმ შემთხვევაში, თუკი საუბარია მონაცემთა დამუშავების ერთსა და იმავე პროცესზე, მნიშვნელოვანია, რომ მასში დაწესებულებების მონაწილეობის სტატუსი სხვადასხვა უწყებამ იმგვარად არ დააიდენტიფიციროს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოცემულობა შეიქმნას;

- ცალკეულ სკოლებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის გრაფაში აქვთ ასახული, მაგალითად, პირველკლასელების რეგისტრაცია/ჩარიცხვის პროცესთან მიმართებით. ამასთან, სკოლების მიერ ამ საკითხზე წარმოდგენილი ინფორმაცია ერთგვაროვანი არ არის. თავად საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მას, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, აღრიცხული აქვს, მათ შორის, შემდეგი პროცესების შესახებ ინფორმაცია: „ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მიმდინარე პროცესების კოორდინაცია“ (მონაცემების დამუშავების მიზნად დოკუმენტში მითითებულია: მართვის სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახულ ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების/ვერიფიკაციის ან/და მათი მოქალაქეობრივი მდგომარეობის დადგენა/გადამოწმება, მართვის სისტემისათვის კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, ზოგადი განათლების პროცესის საინფორმაციო სისტემის, ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხელშეწყობა და კოორდინაცია); „პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის ელექტრონული რეგისტრაციის პროცესის კოორდინაცია“ (დამუშავების მიზნად მითითებულია - „პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეების ელექტრონული პროცესის წარმართვა და უზრუნველყოფა“). მსგავსად ზემოხსენებულისა, თუკი საუბარია მონაცემთა დამუშავების ერთსა და იმავე პროცესზე, აუცილებელია, რომ მონაცემთა დამუშავებაში მონაწილეობის კუთხით საკუთარი როლების თაობაზე მასთან

დაკავშირებული პირების შეხედულებები თანხვედრაში იყოს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი საკითხი შეეხება მონაცემთა დამუშავების იმგვარ პროცესს, რომელშიც საკუთარი მიზნების მისაღწევად სხვადასხვა დაწესებულება არის ჩართული, საჭიროა თითოეულმა მათგანმა მკაფიოდ გამოკვეთოს შესაბამისი მიზანი, მონაცემების დამუშავებაში საკუთარი ჩართულობის ასპექტები (რეკომენდებულია, ასევე, მონაცემთა დამუშავების პროცესის დასათაურება) იმისათვის, რომ აღქმადი იყოს მასსა და ამავე პროცესთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებას შორის განსხვავება;

- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ სოციალურ და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით ცალკეულ სკოლებს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის გრაფაში მუნიციპალიტეტი/ადგილობრივი თვითმმართველობა აქვთ ასახული. „შეჯიბრებებში მოსწავლის მონაწილეობა (ოლიმპიადები, კონკურსები და სპორტული)“, „ბანაკების საგანმანათლებლო და გასართობ პროგრამებში მონაწილეობა“, „ინკლუზიური სწავლების მონიტორინგი“ - ასეთ შემთხვევებში დამუშავებაზე უფლებამოსილ პირის გრაფაში მითითებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ზოგიერთ სკოლას კი ერთსა და იმავე პროცესში დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირად და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად სკოლა აქვს დაფიქსირებული. მსგავსი შემთხვევები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ რამდენიმე უწყების მონაწილეობით წარმართულ მონაცემთა დამუშავების პროცესებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, საჯარო დაწესებულებებმა ერთმანეთთან კოორდინაციით, მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრონ საკუთარი სტატუსი;
- სკოლების შემთხვევაში ხშირია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირად მხოლოდ „სკოლის“ დაფიქსირება, სკოლის სრული სახელწოდების დასახელების გარეშე. ასევე, მრავალ შემთხვევაში საერთოდ არ არის მითითებული საკონტაქტო ინფორმაცია. წარმოდგენილია იმგვარი დოკუმენტაციაც, რომელშიც მითითებული არ არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ან ოფიცერი დასახელებულია, თუმცა მისი საკონტაქტო ინფორმაცია არ არის მოცემული. ერთ-ერთი სკოლის შემთხვევაში დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის გრაფაში მითითებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი“. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო სექტორისგან განსხვავებით, სხვა საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში საკონტაქტო მონაცემების, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობისა და მის შესახებ არსებული ინფორმაციის შევსების პრაქტიკა უკეთესია;

- საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ პროცესებში ხშირად სხვა საჯარო დაწესებულებებიც მონაწილეობენ, მაგალითად, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უწევენ იმგვარ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს, სადაც დასაქმებულების, დასაქმების კანდიდატების ანდა ყოფილი თანამშრომლების მონაცემები მუშავდება. ასევე, როგორც წესი, საჯარო უწყებები საფოსტო კომპანიებს იყენებენ გზავნილების ადრესატებისთვის ჩაბარების პროცესში, ამ გზით კი ცალკეული პერსონალური მონაცემების გამოყენებაში შესაბამისი კომპანიებიც მონაწილეობენ. მსგავსი უწყებების თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილ აღრიცხვის დოკუმენტებში ხშირად გამოტოვებულია. აუცილებელია გაანალიზდეს კანონით დადგენილი შესაბამისი წინაპირობები, დაიდენტიფიცირდეს ამგვარი პირების ვინაობა/სახელწოდება და ინფორმაცია აღირიცხოს მონაცემთა მიმღების კატეგორიების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების გრაფაში;
- ცალკეული უწყებების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვას არ ეთმობა განცალკევებული ადგილი, რაც ართულებს დაწესებულების ინფორმაციის/პოზიციის აღქმას, კონკრეტულ მონაცემთა დამუშავების პროცესებში დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ჩართულობის თაობაზე;
- უნდა აღინიშნოს ტერმინოლოგიური ხასიათის ტენდენციებიც. ზოგიერთ დაწესებულებას დოკუმენტში „თანადამუშავებისთვის უფლებამოსილი პირი“ აქვს მითითებული, რაც არ ემთხვევა კანონის ტერმინებს - „თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი“; „დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი“. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულია ტერმინი „დამუშავებაზე პასუხისმგებელი“, ნაცვლად „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა“;
- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირი (უმეტესად პირი, რომელმაც სამსახურში მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტი წარმოადგინა), ერთსა და იმავე მონაცემთა დამუშავების პროცესთან მიმართებით აღრიცხულია როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ, ისე დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად, რაც ურთიერთსაწინააღმდეგო მოცემულობას ქმნის;
- რამდენიმე დაწესებულების მაგალითზე უნდა აღინიშნოს გამოვლენილი დადებითი ტენდენცია ცალკეულ მონაცემთა დამუშავების პროცესებში მათი მონაწილეობის სტატუსის ფორმალურად გამართული სახით წარმოდგენის თაობაზე. კერძოდ, საჯარო დაწესებულებების ფარგლებში, ერთ-ერთი

გავრცელებული პრაქტიკაა სამართლებრივი აქტებით ცალკეული უწყებებისთვის იმგვარი ფუნქციების დაკისრება, რომელთა შესრულების დროსაც ისინი დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის სტატუსით ერთვებიან სხვადასხვა მონაცემთა დამუშავების პროცესში. ამავდროულად, მათ ეკისრებათ იმგვარი ფუნქციების შესრულება, რომლის დროსაც ისინი თავად წარმოადგენენ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა მსგავსმა დაწესებულებამ სამსახურში წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იყო გამიჯნული მათი ხედვა და აღრიცხული ინფორმაცია მონაცემების დამუშავების სხვადასხვა პროცესში მათი ჩართულობის ხარისხის, შესაბამისი როლის/სტატუსის თაობაზე.

რეკომენდაციები:

- სკოლებმა და მანდატურის სამსახურმა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე ვიდეომონიტორინგის პროცესთან მიმართებით საკუთარი როლი, სტატუსი (წარმოადგენენ თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს თუ სხვა) იმგვარად აღრიცხონ, რომ აღნიშნული ინფორმაცია, ერთი მხრივ, შეესაბამებოდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, მეორე მხრივ კი, იყოს თანმიმდევრული, და ამდენად, უწყებათა პოზიციები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდეს;
- ზემოხსენებული საკითხი, საგანმანათლებლო სექტორის გარდა, აქტუალურია სხვა დაწესებულებებისთვისაც. შესაბამისად, როდესაც უწყებები სხვა დაწესებულებებს მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის გრაფაში ასახავენ, მნიშვნელოვანია, აღნიშნული უზრუნველყონ მათთან კოორდინაციით. ამ კუთხით არათანმიმდევრულად აღრიცხული არაერთი მონაცემთა დამუშავების პროცესი გამოვლინდა;
- როდესაც საკითხი მონაცემთა დამუშავების იმგვარ პროცესს შეეხება, რომელშიც დამოუკიდებელი მიზნების მისაღწევად სხვადასხვა დაწესებულება არის ჩართული, საჭიროა თითოეულმა მათგანმა მკაფიოდ გამოკვეთოს საკუთარი მიზანი, მონაცემების დამუშავებაში საკუთარი ჩართულობის ასპექტები, რათა აღქმადი იყოს მასსა და ამავე პროცესთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებას შორის განსხვავება;
- ტერმინ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის განმარტებიდან გამომდინარე, მის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის მიზნებისთვის დაწესებულებებმა უნდა დაასახელონ სამართალსუბიექტები, რომლებიც შესაბამისი დავალების (ხელშეკრულების) ან, ამავე დანიშნულებით მიღებული სამართლებრივი აქტების

ფარგლებში მოქმედებენ, ნაცვლად პორტალების, ელექტრონული სისტემების, დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების დასახელებისა;

- კანონთან შესაბამისობის მიზნით აუცილებელია, რომ დაწესებულებებმა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის გრაფაში არ ასახონ საკუთარი თანამშრომლების ვინაობა (რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ცნებას). მათ უნდა დააიდენტიფიცირონ და აღრიცხონ კონკრეტული სამართალსუბიექტები, რომლებიც დავალების (რაც არ გულისხმობს შრომითსამართლებრივი ხასიათის დავალებას) ან შესაბამისი სამართლებრივი აქტის ფარგლებში, მათი სახელით და ინტერესებისთვის მონაცემების დამუშავებაში მონაწილეობენ;
- მიზანშეწონილია, საჯარო სკოლებმა დამატებით გააანალიზონ საგანმანათლებლო რესურსცენტრების ჩართულობა და სტატუსი პერსონალური მონაცემების დამუშავების აღრიცხულ პროცესებში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ მათ მხედველობაში მიიღონ რესურსცენტრების ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსი და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მათი კავშირი;
- სამსახურის მიერ განხორციელებული არაერთი მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერების შესწავლის და სექტორული კანონმდებლობის ანალიზით დგინდება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ცალკეული მონაცემთა დამუშავების საშუალებების ადმინისტრირებაში სხვა უწყებებიც მონაწილეობენ. მნიშვნელოვანია, რომ სკოლებმა, საქმისწარმოების ფარგლებში, ელექტრონული ჟურნალების მართვასა თუ სხვა პროცესებში მათ მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებთან მიმართებით დააიდენტიფიცირონ და აღრიცხონ ამგვარი საშუალებების ტექნიკურ მხარდაჭერასთან, სერვერის მართვასთან, სხვადასხვა ორგანიზაციული ზომების მიღებასთან დაკავშირებული და პერსონალური მონაცემების დამუშავებაში ჩართული ორგანიზაციების როლი/მონაცემების დამუშავების პროცესში მათი მონაწილეობის სტატუსი;
- იმ შემთხვევაში, თუკი დაწესებულება მიიჩნევს, რომ მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი და თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა დამუშავებაში არ მონაწილეობენ, კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ დოკუმენტში აღნიშნულის თაობაზე საჭიროა მკაფიო მითითებები აღრიცხოს. ამ კუთხით სრულყოფილად აღრიცხულ ინფორმაციად ვერ შეფასდება, მაგალითად, შემდეგი ჩანაწერი: „კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული უფლებამოსილი პირი სკოლას არ ჰყავს“, ვინაიდან კანონის 36-ე მუხლის

მიხედვით, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება ხელშეკრულებითაც განისაზღვროს;

- მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის თაობაზე დოკუმენტში საჭიროა სრულად იყოს დასახელებული დამუშავებისთვის/თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია. დასახელებული ინფორმაციის ნაწილი წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხშირად გამოტოვებულია;
- საჯარო უწყებების საქმიანობისთვის დამახასიათებელი პრაქტიკის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ცალკეული დაწესებულებების მიერ აღრიცხული მონაცემთა დამუშავების ზოგიერთი პროცესიდან გამოტოვებულია იმგვარი პირების/ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც ისინი მაგალითად, საფოსტო ან სხვა სახის მომსახურების ფარგლებში იყენებენ. აუცილებელია, დაწესებულებებმა სრულად დააიდენტიფიცირონ მონაცემთა დამუშავების თითოეულ პროცესში ჩართული პირების სტატუსები და ინფორმაცია შესაბამის პროცესთან კომბინაციაში აღრიცხონ;
- მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები შესაბამისობაში იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ცნებებთან. ამ კუთხით, მიზანშეწონილია, დაწესებულებებმა გადახედონ დამუშავებისთვის/თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ასახვის მიზნით გამოყენებულ ტერმინებს.

3. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი - ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მიზნის იდენტიფიცირება, რომლის მისაღწევად კონკრეტული მონაცემი მუშავდება და რომელთა დამუშავების გარეშე დასახული მიზანი ვერ მიიღწევა. კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის, ხოლო მონაცემთა დამუშავების მიზნის განსაზღვრულობის (მიზნობრიობის) პრინციპის დაცვა მონაცემთა დამუშავების კანონიერების ერთ-ერთი

ფუნდამენტური კრიტერიუმია[18]. მონაცემთა დამუშავების მიზანი ნათლად უნდა განისაზღვროს დამუშავების დაწყებამდე[19] და ამ პროცესში თითოეულ კონკრეტულ მონაცემებთან/მონაცემების კატეგორიებთან მიმართებით უნდა შეფასდეს მათი დამუშავების მიზანი,[20] რამდენადაც დამუშავების მიზნის სწორი იდენტიფიცირება დამუშავების პროცესის სტრუქტურიზებისა და კანონიერ ჩარჩოში წარმართვის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა. დამუშავების მიზნის განსაზღვრა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შესაძლებლობას აძლევს, მართებულად მიუსადაგოს მონაცემთა დამუშავების ცალკეულ პროცესს სამართლებრივი საფუძველი და პარალელურად, უზრუნველყოს როგორც მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა დამუშავების სრული პროცესის ფარგლებში, ასევე - მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება.[21]

მონაცემთა დამუშავების მიზნის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია კანონის მოქმედების სფეროს განსაზღვრის თვალსაზრისით, კერძოდ, კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, კანონის მოქმედება არ ვრცელდება: ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან; სახელმწიფო უსაფრთხოების (მათ შორის, ეკონომიკური უსაფრთხოების), თავდაცვის, სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობების მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე; დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისთვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავებასა და არაავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე; სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლისა); აკადემიური,

[18] იხ. Guidelines 1/2024 on processing of personal data based on Article 6(1)(f) GDPR Version 1.0 Adopted on 8 October 2024, <https://www.edpb.europa.eu/system/files/2024-10/edpb_guidelines_202401_legitimateinterest_en.pdf> , 5.

[19] იხ. CJEU, judgment of 4 July 2023, Case C-252/21, Meta v. Bundeskartellamt (ECLI:EU:C:2023:537), para. 90.

[20] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 11.

[21] იხ. Guidelines 1/2024 on processing of personal data based on Article 6(1)(f) GDPR Version 1.0 Adopted on 8 October 2024, <https://www.edpb.europa.eu/system/files/2024-10/edpb_guidelines_202401_legitimateinterest_en.pdf> , 6.

სახელოვნებო და ლიტერატურული მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე. დამატებით კი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების მომწესრიგებელი ნორმები არ ვრცელდება „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსახლეობის აღწერის მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე.[22] ამდენად, მონაცემთა დამუშავების მიზნის იდენტიფიცირებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, ვრცელდება თუ არა კონკრეტულ ქმედებაზე კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მონაცემთა დამუშავების კანონიერებისთვის მონაცემთა დამუშავების ყველა პრინციპის ზედმიწევნით დაცვაა აუცილებელი, რაც, თავის მხრივ, მონაცემთა დამუშავების პროცესში მიზნობრიობისა და მიზნის შეზღუდვის პრინციპების უპირობოდ გათვალისწინებას გულისხმობს. შესაბამისად, დამუშავების ოპერაციის მიზნის განსაზღვრა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის გამოყენებისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შემუშავების პირველი ეტაპია. ამასთანავე, მიზნის განსაზღვრა სხვა მოთხოვნების დაწესების წინაპირობასაც წარმოადგენს, ხოლო მიზნის შეზღუდვის პრინციპი ადგენს საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მოცემული მიზნისთვის შეგროვებული პერსონალური მონაცემების დამუშავება და შემდგომი გამოყენება. ამდენად, აუცილებელია, რომ ნებისმიერი დამუშავების პროცესის დაწყებამდე, წინასწარ განისაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები, განხორციელდეს მათი დოკუმენტირება, რეგულარულად გადაიხედოს დამუშავების ოპერაციები და დაიდენტიფიცირდეს მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი საჭიროებები, აგრეთვე, მონაცემები გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის გონივრული მოლოდინის შესაბამისად ან განიმარტოს ნებისმიერი შემდგომი დამუშავების მიზანი, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება თავდაპირველი მიზნისგან განსხვავებული მიზნით, ხოლო ამ პროცესში ასევე უნდა შეფასდეს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებიც.

მონაცემთა დამუშავების მიზნობრიობისა და მიზნის შეზღუდვის პრინციპების დაცვის სავალდებულოობას ხაზს უსვამს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიც, რომელიც მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ მითითების აუცილებლობას ადგენს. საგულისხმოა, რომ საჯარო უწყებათა მხრიდან

[22] იხ. კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

წარმოდგენილი დოკუმენტების უმრავლესობაში ფორმალური ვალდებულება მონაცემთა დამუშავების მიზნების ველის არსებობისა და შევსების თვალსაზრისით უზრუნველყოფილი იყო, თუმცა შინაარსობრივი კუთხით, შეინიშნებოდა რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ:

- საგანმანათლებლო სექტორის მიერ გაზიარებული დოკუმენტების უმრავლესობაში დასახული მიზნები, თავისი არსით, წარმოადგენდა პროცესებისა თუ მოქმედებების აღწერას, რომელთა ფარგლებში საჯარო სკოლა ზოგადად ამუშავებს ინფორმაციას, მაგ.: მიზანთა შორის ჩამონათვალში გვხვდება „განცხადებების დამუშავება“, „ტენდერი“, „საჩივარი“, „იჯარა“, „აუქციონი“, „სამეურვეო საბჭოს ოქმები“, „პედაგოგიური საბჭოს ოქმები“, „ჩემი პირველი კომპიუტერით პროგრამით სარგებლობა“, „სახელმწიფო ხაზინაში მუშაობა“, „დანიშვნა/გათავისუფლების ბრძანებები“. და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ ჩამონათვალი შინაარსობრივად საქმიანობის ფარგლებს მიუთითებს, მსგავსი ინფორმაციის ასახვა მონაცემთა დამუშავების მიზნის გრაფაში მცდარ პრაქტიკად უნდა შეფასდეს, ვინაიდან მონაცემთა დამუშავების მიზანი არ წარმოადგენს კონკრეტული პროცესის მახასიათებელ მოქმედებას ან გარემოებას, არამედ - ის განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთეა, რომელიც მონაცემის დამუშავების შედეგად უნდა იქნეს მიღწეული. მაგალითისთვის, მიზნად მითითებულ ფორმულირებაში - „განცხადებების დამუშავებასთან დაკავშირებით“, აღსანიშნავია, რომ განცხადებები შესაძლოა სრულიად სხვადასხვა თემატიკაზე იყოს წარდგენილი და ამდენად, მონაცემთა დამუშავების სრულიად სხვადასხვა პროცესის ნაწილი იყოს - მაგალითად, შრომითი ურთიერთობები, მობილობა და სხვ. და ამდენად, ისინი სულ სხვადასხვა მიზნის მისაღწევად მუშავდებოდეს, მაგალითად: მოსწავლის განათლების უფლების ხელშეწყობის მიზნით, ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით და ა.შ. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით მონაცემთა დამუშავების მიზნები საჭიროებს სწორ ინტერპრეტაციას და იდენტიფიცირებას;
- საჯარო სკოლების მნიშვნელოვან ნაწილს ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში მიზნად განსაზღვრული აქვთ მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღება, ხოლო მის გასწვრივ, საფუძვლების ველში ასახული აქვთ კანონის მე-5 და მე-6 მუხლები (სსსმ მოსწავლეებთან, ინკლუზიური განათლების ფარგლებში). მოცემულ დოკუმენტებში არ არის დასახელებული მონაცემთა დამუშავების პროცესი, რაც ტოვებს ბუნდოვანებას, თუ რომელ კონკრეტულ პროცესთან მიმართებით ამუშავებს სკოლა მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემებს, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე არ არის. ამ და

სხვა სახის ნაკლოვანების პირობებში კი, ნაკლებსავარაუდოა, რომ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულად ჩაითვალოს;

- საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის ფარგლებში დაიდენტიფიცირდა იმგვარი შემთხვევები, როდესაც ჩანაწერი - „მოსწავლის/სასკოლო საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა“ - ფიქსირდება მონაცემთა დამუშავების მიზნად, ხოლო თავად პროცესი დასახელებული არ არის. თავის მხრივ, მითითებული მიზნის მისაღწევად სკოლაში შეიძლება სხვადასხვა პროცესი იყოს წარმართული, მაგალითად, ვიდეომონიტორინგი, შენობაში ვიზიტორების კონტროლი და სხვ. ვინაიდან მონაცემთა დამუშავების პროცესი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, სწორად განსაზღვროს მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები, ამგვარი პროცესების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის რთულდება როგორც მიზნის მიღწევის საშუალების, აგრეთვე, კანონის 28-ე მუხლის ფარგლებში აღსარიცხი სხვა ინფორმაციის მართებულად იდენტიფიცირების (მაგ., მონაცემთა მიმღები, უფლებამოსილი პირი, დამუშავების ვადა, უსაფრთხოების ზომები და ა.შ.) შესაძლებლობა;
- ერთეულ შემთხვევებში, სკოლების მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის ფარგლებში გვხვდება მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის იმგვარი დოკუმენტები, რომლებშიც საერთოდ არ არის ასახული მონაცემთა დამუშავების მიზნები და პროცესები, ხოლო ინფორმაციის აღრიცხვა წარმოებს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის და მონაცემების კატეგორიის მიხედვით, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს, რომელ მონაცემთა დამუშავების პროცესს მიემართება თითოეული აღრიცხული ინფორმაცია;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მონაცემთა დამუშავების მიზნად გვხვდება იმგვარი განსაზღვრება, როგორიცაა „სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობა“. საგანმანათლებლო რესურსცენტრი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, ის სწორედ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული მიზნით ამუშავებს მონაცემებს, როგორც სამინისტროს ტერიტორიული ერთეული. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების მიზნად მსგავსი ფორმულირების ასახვა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში სწორ პრაქტიკად ვერ შეფასდება;
- კოლეჯების უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ინფორმაცია აღრიცხულია მონაცემთა სუბიექტების შესაბამისად, დამუშავებული მონაცემების კატეგორიებისა და სახეების მიხედვით, თითოეულთან მიმართებით კი

განსაზღვრულია დამუშავების მიზანი - მაგალითად, სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და სქესი, მათ შორის, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სასწავლო მიზნით, მონაცემთა დამუშავებისთვის სტუდენტთა იდენტიფიცირებისთვის, ელექტრონულ პორტალზე წვდომისა და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის ამგვარი სტრუქტურიზაცია თვისობრივად ვერ უზრუნველყოფს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების სწორად შესრულებას, ვინაიდან აღსარიცხი ინფორმაციის იმგვარი დაყოფით, როგორიც ეს წარმოდგენილ დოკუმენტებშია, იკარგება სრული პროცესის აღქმა და მონაცემთა დამუშავების ერთიან პროცესში შესაძლოა მარტივად წარმოიშვას ნაკლოვანებები, რაც, უპირველეს ყოვლისა, თავად დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს გაურთულებს შიდა ორგანიზაციული პროცესების კანონის მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფას;

- ერთ-ერთი უწყების შემთხვევაში გამოგზავნილია ორი დოკუმენტი, თითოეულში კი მხოლოდ ერთი პროცესია დასახელებული. მაგალითად, პირველ დოკუმენტში: „ელექტრონული მთავრობის პროგრამაში ინიცირებული საკითხის განხილვა“, ხოლო მეორე დოკუმენტში: „სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ის მიერ გამოცემული აქტის თაობაზე საჩივრის განხილვა“. ამასთანავე, ცალკე გრაფა „მიზანი“ დოკუმენტებს არ აქვს და შემოიფარგლება მხოლოდ „დამუშავების სახის“ გრაფით. მსგავსი ტიპის დოკუმენტები, მასში ასახული ინფორმაციის სიმწირის გათვალისწინებით, კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების სრულყოფილ შესრულებას ვერ უზრუნველყოფს;
- ერთ-ერთი საჯარო უწყების მიერ წარმოდგენილია ბრძანებით დამტკიცებული ფორმები სერვისების მიმღები პირის მონაცემთა დამუშავების შესახებ და საშუამავლო საქმიანობის განხორციელების თაობაზე, რაც შინაარსობრივად და სტრუქტურულად კანონის 28-ე მუხლის ვალდებულებებს არ მიემართება და მითითებული საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების მიზნობრიობასაც არ განსაზღვრავს;
- უკუკავშირის სახით წარმოდგენილი იქნა აგრეთვე ბრძანებით დამტკიცებული ფორმა, რომელშიც მონაცემთა დამუშავების მიზნად მითითებულია, რომ უწყება ახორციელებს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას, სარგოს გაცემას და ვიდეომონიტორინგს. წარმოდგენილი ფორმულირება შეუსაბამოა კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან, მით უფრო, რომ ხსენებული ნორმით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია ბრძანებით დამტკიცებულ ფორმაში

მითითებული არ არის და მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონთან თავსებადობა ამ თვალსაზრისით დადებითად ვერ შეფასდება;

- ერთეულ შემთხვევებში საჯარო უწყებათა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში საერთოდ არ არის მონაცემთა დამუშავების მიზნების გრაფა, მხოლოდ ჩამოთვლილია საქმიანობის სახეები და ამ ფარგლებში დამუშავებული მონაცემების კატეგორიები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლების მითითებით;
- ცალკეულ საჯარო უწყებათა შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტებში მონაცემთა დამუშავების მიზნებად განსაზღვრულია დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობათა ჩამონათვალი, თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის ცალ-ცალკე, რაც ართულებს მონაცემთა დამუშავების პროცესის ერთობლიობაში აღქმას, მით უფრო იმ შემთხვევებში, როდესაც რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს, მაგალითად, კანცელარიას, ადმინისტრაციას, ფინანსურ განყოფილებას და ა.შ. ერთი და იმავე მონაცემების დამუშავების მიმართ იდენტური მიზნები ამოძრავებს.

საგულისხმოა, რომ საჯარო უწყებათა მიერ წარმოდგენილ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტებში გვხვდება სრულყოფილად შევსებული გრაფები, მათ შორის, მონაცემთა დამუშავების მიზნების ველებიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები სწორი კრიტერიუმებით განსაზღვრავენ მიზნებს, აღნიშნული კი, შემდგომ ამარტივებს თავად მონაცემთა კატეგორიების, სახეების, მონაცემთა სუბიექტებისა და ამ მონაცემთა მიმოცვლის ფარგლებში მიმღები პირებისა თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. **დადებითი ტენდენციებიდან** ყურადღება უნდა გამახვილდეს, მაგალითად, შემდეგ შემთხვევებზე:

- არაერთი სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ერთმანეთისგან გამიჯნულია მონაცემთა დამუშავების პროცესები და მიზნები და დაიდენტიფიცირებულია კონკრეტული მიზნები, მაგალითად: მონაცემთა სუბიექტისათვის სრულფასოვანი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევა; სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად სადაზღვევო, სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებლებისგან ანაზღაურების მიღება; შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში შესვლა და სხვ.;
- ერთ-ერთი საჯარო უწყების მიერ სამსახურში წარმოდგენილია ათობით დოკუმენტი, რომლებიც ინდივიდუალურად ერთ კონკრეტულ პროცესს

აწესრიგებს, თითოეულის ფარგლებში კი მონაცემთა დამუშავების მიზნები განსაზღვრულია ფუნქცია-მოვალეობებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით (მაგ., სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია, გადახდის ვალდებულების კონტროლი), რაც ხელს უწყობს თავად მონაცემთა დამუშავების სრული პროცესის აღქმადობას როგორც თავად დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, ასევე, საზედამხედველო ორგანოსა თუ მონაცემთა სუბიექტის მხრიდან, ამასთან, ამგვარად შექმნილი დოკუმენტი იძლევა მონაცემთა დამუშავების საფუძვლების მართებულად განსაზღვრის შესაძლებლობას;

- საჯარო უწყებათა უმრავლესობას მონაცემთა დამუშავების პროცესის პარალელურად, რაც საჯარო მოხელეთა მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებას გულისხმობს, მონაცემთა დამუშავების მიზნად სწორად ჰქონდა განსაზღვრული მოხელის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენისა და საჯარო დაწესებულების ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობის მიზანი;
- საერთო სასამართლოების სისტემიდან წარმოდგენილ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტებში პირველ გრაფად მითითებულია სასამართლოს ადმინისტრაციული, ორგანიზაციული და მმართველობითი საქმიანობის პროცესები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალური მონაცემები მუშავდება, ხოლო მომდევნო გრაფაში აღწერილია თითოეული პროცესის შესაბამისი მიზნები, რომელთა მისაღწევადაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავება;
- უნივერსიტეტების უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით აღრიცხული ინფორმაცია ფორმალურად გამართულად არის წარმოდგენილი მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და შესაბამისი მიზნების იდენტიფიცირების თვალსაზრისით.

რეკომენდაციები:

- სასურველია, უწყებებმა ერთმანეთისგან გამიჯნონ მონაცემთა დამუშავების პროცესები და მონაცემთა დამუშავების მიზნები;
- თავდაპირველად დაიდენტიფიცირდეს მონაცემთა დამუშავების პროცესი და შემდგომ მიესადაგოს მას სათანადო მიზანი; ამასთან, თითეული აღრიცხვის

დოკუმენტიდან უნდა ირკვეოდეს მონაცემთა დამუშავების კანონიერი, მკაფიო და კონკრეტული მიზანი;

- მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ ინფორმაცია იმგვარად უნდა აისახოს, რომ წარმოდგენილი ფორმულირება სიტყვა „მიზანს“ შინაარსობრივად გულისხმობდეს. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს იმგვარი ფორმულირებით, რომ კონკრეტული პროცესის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებას გააჩნდეს სამიზნე შედეგი, ანუ მოქმედების, საქმიანობის წინასწარ განსაზღვრული შედეგი, რომელსაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიაღწიოს მონაცემების დამუშავების შედეგად;
- საჯარო სკოლები, როგორც წესი, პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების, სასწავლო პროცესის (მათ შორის, დისტანციური სწავლების) შეუფერხებელი მიმდინარეობის უზრუნველყოფის, მოსწავლეთა რეგისტრაციის, მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განათლების უფლების რეალიზების, მოსწავლეთა აღრიცხვის, შეფასების, მათი მობილობის უზრუნველყოფის, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის, სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კვალიფიციური კადრების შერჩევის, დანიშვნისა და შრომით ურთიერთობაში შესვლის, აგრეთვე, კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლებამოსილებებისა თუ ფუნქციების განხორციელების მიზნებით. თითოეული მიზნის უზრუნველსაყოფად კი მმართველობითი, ადმინისტრაციული თუ საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში მუშავდება გარკვეული სახისა და კატეგორიის მოცულობითი ინფორმაცია, რომელთა დამუშავების კანონშესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის, რეკომენდებულია თავდაპირველად მონაცემთა დამუშავების პროცესის იდენტიფიცირება და მისთვის სათანადო მიზნის მისადაგება, რაც შემდგომ პირდაპირპროპორციულად უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების საფუძვლის სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას;
- აღსარიცხი მონაცემების სტრუქტურიზაცია და დაჯგუფება უნდა მოხდეს დამუშავების სრული პროცესის ერთიანობაში აღქმადი ფორმით, თითოეული დამუშავების პროცესისთვის ინდივიდუალური მიზნის/მიზნების განსაზღვრის გზით.

4. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი - ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტებისა და მონაცემთა კატეგორიების შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს მონაცემთა სუბიექტებისა და მონაცემთა კატეგორიების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულება აქვთ.

„მონაცემთა სუბიექტი“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომლის შესახებ მონაცემი მუშავდება. ამდენად, მონაცემთა სუბიექტად არ განიხილება იურიდიული პირი, ვინაიდან აღნიშნული ცნება ვრცელდება მხოლოდ იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირზე. პერსონალური მონაცემი თავისი არსით დაკავშირებულია ადამიანის პიროვნებასთან, შესაბამისად, ფიზიკური პირი მონაცემთა დაცვის წესების ერთადერთ ბენეფიციარს წარმოადგენს. მონაცემთა სუბიექტის კატეგორიების სწორად იდენტიფიცირება უზრუნველყოფს იმ უფლებების რეალიზებას, რომლებიც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს თითოეულ ადამიანს, მათ შორისაა, ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების, მონაცემთა გასწორების, განახლების, შევსების, შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების, დაბლოკვის, გადატანის (პორტირების), ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული თანხმობის გამოხმობისა და გასაჩივრების უფლებები.[23]

ყველა უფლება და ვალდებულება, რომლებიც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებზე ვრცელდება, მიმართულია სწორედ მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვისკენ.

მონაცემთა სუბიექტების კატეგორიები შეიძლება, სხვადასხვა სფეროს მიხედვით განისაზღვროს, მაგალითად: მოსწავლეები, სტუდენტები, მშობლები, კანონიერი წარმომადგენლები, დაწესებულებებში დასაქმებული პირები, მომხმარებლები, ონლაინ პლატფორმებზე რეგისტრირებული პირები და სხვა.

ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში მონაცემთა სუბიექტების კატეგორიების იდენტიფიცირება საშუალებას აძლევს დაწესებულებას განსაზღვროს, შესაბამის

[23] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-3 თავი.

პროცესებში მონაცემთა სუბიექტების რომელი სამიზნე ჯგუფების მონაცემები მუშავდება, რაც მათი უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერებას ხელს უწყობს.

რაც შეეხება მონაცემთა კატეგორიას, იგი წარმოადგენს მონაცემთა შესახებ შინაარსობრივად დაჯგუფებულ ინფორმაციას, რომელშიც, მაგალითად, მოიაზრება: საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი); საკონტაქტო მონაცემები (მაგ., ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი); ფინანსებთან დაკავშირებული მონაცემები (მაგ., საბანკო ანგარიშის ნომერი, საკრედიტო ბარათის მონაცემები); შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული მონაცემები (მაგ., განათლება, კვალიფიკაცია, დასაქმების ისტორია, ხელფასი); ტექნიკური მონაცემები (მაგ., IP მისამართი, მზა-ჩანაწერების მონაცემები, ელექტრონულ სისტემაში შესვლის დრო); განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (მაგ., ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბიომეტრიული მონაცემები, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებები).

აღნიშნული სია, ბუნებრივია, ამომწურავი არ არის და დამოკიდებულია კონკრეტულ სფეროსა და დაწესებულებაში მიმდინარე დამუშავების პროცესებზე.

მონაცემთა სუბიექტისა და კატეგორიის სწორად იდენტიფიცირებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, ის უზრუნველყოფს დამუშავების მასშტაბების ზუსტ და სრულყოფილ აღრიცხვას, ქმნის სამართლებრივი მოთხოვნების დაცვისათვის შესაბამის წინაპირობას და ამარტივებს საზედამხედველო ორგანოს მიერ კონტროლისა და შეფასების მექანიზმებს.

საჯარო უწყებათა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტებისა და მონაცემთა კატეგორიების აღრიცხვიანობის თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- გამოვლინდა მონაცემთა სუბიექტისა და პერსონალურ მონაცემთა ცნების არასწორი ინტერპრეტაცია. მაგალითისთვის, ინფორმაცის აღრიცხვის დოკუმენტში მონაცემთა სუბიექტის გრაფაში მრავალ შემთხვევაში მითითებულია ცალკეული კომისიები თუ იურიდიული პირები - „სატენდერო კომისია“, „სკოლა“, „ორგანიზაცია“ და სხვა, ხოლო მონაცემთა კატეგორიების გრაფაში ასახულია ამავე კომისიების/პირების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ. ფოსტა) და საიდენტიფიკაციო კოდი, რაც პერსონალურ მონაცემთა განმარტებას არ შეესაბამება. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ მონაცემთა აღრიცხვის პროცესში ხშირია ორგანიზაციის მიერ მონაცემთა სუბიექტებისა და პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირების პრობლემა;

- საჯარო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ მასალებში მონაცემთა კატეგორიების გრაფაში, ხშირ შემთხვევაში, ჩამოთვლილია: „სახელი“, „გვარი“, „პირადი ნომერი“, „ტელეფონის ნომერი“ და სხვა. აღნიშნული მიდგომა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მონაცემები აღირიცხება უფრო დეტალური ფორმით, ვიდრე ეს კანონით დადგენილი ვალდებულების არსს შეესაბამება. კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მონაცემთა კატეგორიები შესაძლოა მიეთითოს ისეთი კლასიფიკაციის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თემატურ დაჯგუფებას და ერთგვაროვნებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მაგალითად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი სტრუქტურა, როგორიცაა: საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი), აკადემიური მოსწრების თაობაზე მონაცემები (შეფასებები, სერტიფიკატები) და სხვა. სხვადასხვა უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება მოცულობისა და ფორმატის თვალსაზრისით, რაც ართულებს როგორც შედარებით ანალიზს, ისე საზედამხედველო ორგანოს მხრიდან მონაცემთა დამუშავების მასშტაბების ერთიან შეფასებას. ამრიგად, ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა, რომელიც გამოიკვეთა, არის მონაცემთა კატეგორიების სტანდარტიზაცია;
- დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სკოლების მიერ მონაცემთა კატეგორიად მითითებულია ზოგადი ფორმულირებები, როგორიცაა „პირადი მონაცემები“ და „აკადემიური ინფორმაცია“. აღნიშნული პრაქტიკა პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო: პირველ რიგში, „პირადი მონაცემები“ ზოგიერთ შემთხვევაში „პერსონალური მონაცემების“ სინონიმადაც გამოიყენება. ასეთ ვითარებაში იგი შესაძლოა მოიცავდეს როგორც საიდენტიფიკაციო მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), ისე სხვა სახის ინფორმაციას, მაგალითად, აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებულ მონაცემებს. შედეგად, შეუძლებელი ხდება მონაცემთა კატეგორიების მკაფიო გამიჯვნა და ინფორმაციის იდენტიფიცირება, რაც რეალურად ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით;
- ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებების მიერ მონაცემთა კატეგორიის გრაფაში აისახა ზოგადი ტერმინები, როგორიცაა „პერსონალური მონაცემები“ და „განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები“. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის გარკვეულ ბუნდოვანებას, რამდენადაც ზოგადი, არასპეციფიკური კატეგორიების გამოყენებამ შესაძლოა წარმოშვას გარკვეული

სირთულე, მონაცემთა დამუშავების რეალური მასშტაბებისა და რისკების არასწორად შეფასების გამო;

- ცალკეული უწყების მიერ წარმოდგენილია კონკრეტული სახის ინფორმაცია, რაც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, კერძოდ: ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმაციის აღრიცხვის ფორმაში მითითებულია კონკრეტულ მოსწავლეთა სახელი, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ასევე, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები - კონკრეტული მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორიცაა ვირუსით ინფიცირება ან მაღალი არტერიული წნევა, რაც, თავის მხრივ, არ შეესაბამება კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნებს, მეტიც, ეწინააღმდეგება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის იმგვარ პრინციპებს, როგორიცაა, მაგ.: კანონიერების, მიზნის შეზღუდვის, გამჭვირვალობის და უსაფრთხოების პრინციპები;
- კარგი პრაქტიკის კუთხით, საინტერესო შემთხვევად შეიძლება იყოს მიჩნეული ერთ-ერთი სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელშიც დამუშავების პროცესები კლასიფიცირებულია მონაცემთა სუბიექტების მიხედვით: დასაქმებული, სტაჟიორი, ყოფილი თანამშრომლები, მოქალაქეები, ღონისძიების მონაწილეები და ა.შ. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მიზნების იდენტიფიკაციას, ვინაიდან თითოეული მონაცემთა სუბიექტისთვის ცხადად არის დადგენილი, რა მიზნებით მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება. განხილული პრაქტიკა წარმოადგენს მონაცემთა სტრუქტურირებული აღრიცხვის დადებით მაგალითს, რაც ხელს უწყობს როგორც სამართლებრივი შესაბამისობის დაცვას, ისე მონაცემთა დამუშავების პროცესის გამარტივებას;
- უწყებების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა არაერთი შემთხვევა, როდესაც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებში ისინი მოიაზრებდნენ პირის სახელსა და გვარს. შესაბამისად, ცალკეულ დაწესებულებებს არ აქვთ სრულყოფილად აღქმული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების ცნება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები უკავშირდება „ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“

საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება“.[24] შესაბამისად, სწორედ ამ განმარტებით უნდა იხელმძღვანელონ დაწესებულებებმა, როდესაც მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში „მონაცემთა კატეგორიების“ შესახებ ასახავენ ინფორმაციას.

რეკომენდაციები:

- მონაცემთა სუბიექტის გრაფაში მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური პირების კატეგორიები უნდა მიეთითოს;
- მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა სუბიექტების კატეგორიაში აღირიცხებოდეს პირთა ჯგუფები (დასაქმებულები, სტუდენტები, მოსწავლეები, ღონისძიების მონაწილეები და სხვ.) და არა კონკრეტული ინდივიდები;
- კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მონაცემთა კატეგორიები უნდა განისაზღვროს ისეთი კლასიფიკაციის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თემატურ დაჯგუფებას და ერთგვაროვნებას;
- ინფორმაციის აღრიცხვა უნდა განხორციელდეს კანონიერების, მიზნის შეზღუდვის, გამჭვირვალობის და უსაფრთოების პრინციპების დაცვით, მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში არ აისახოს იმგვარი ინფორმაცია, რომლითაც კონკრეტული მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირება იქნება შესაძლებელი.

5. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი - ინფორმაცია მონაცემთა მიმღების (მათ შორის, სხვა სახელმწიფოში არსებული მონაცემთა მიმღების ან საერთაშორისო ორგანიზაციის) კატეგორიების შესახებ

კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მის სპეციალურ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ავალდებულებს წერილობით ან ელექტრონულად აღრიცხონ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული, მონაცემთა მიმღების (მათ შორის, სხვა

[24] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

სახელმწიფოში არსებული მონაცემთა მიმღების ან საერთაშორისო ორგანიზაციის) კატეგორიების შესახებ ინფორმაცია.

კანონის თანახმად,[25] მონაცემთა მიმღების კატეგორიაში მოიაზრება მონაცემთა მიმღების კლასიფიკაცია/დაჯგუფება საქმიანობის სფეროს ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით. რაც შეეხება მონაცემთა მიმღებს, კანონის თანახმად[26], მონაცემთა მიმღებს წარმოადგენს როგორც ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მონაცემთა მიმღებს არ წარმოადგენს. იმისათვის, რომ დაწესებულებებმა მართებულად განსაზღვრონ მონაცემთა მიმღების კატეგორია, პირველ ეტაპზე საჭიროა მონაცემთა მიმღების არსის სწორად გაანალიზება. მონაცემთა მიმღები შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც ფიზიკური პირის შესახებ არსებული ინფორმაცია გადაეცემა, ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა მიმღები დაწესებულება დამუშავებაზე უფლებამოსილი/დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირია თუ მესამე პირი. მაგალითად, საჯარო დაწესებულება, თავისი საქმიანობის ფარგლებში აორგანიზებს თანამშრომელთა მივლინებას. ამ პროცესში მან თანამშრომლების პერსონალური მონაცემები ავიაკომპანიებს და სასტუმროებს გაუგზავნა, რათა თანამშრომლებმა მიიღონ შესაბამისი მომსახურება. ერთი მხრივ, საჯარო დაწესებულება, ავიაკომპანია და სასტუმროები წარმოადგენენ დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს იმ პროცესებთან მიმართებით, რომლებსაც ისინი საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად იყენებენ, თუმცა ავიაკომპანიები და სასტუმროები ამავდროულად წარმოადგენენ მონაცემთა მიმღებებს დასახელებულ პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით.

მონაცემთა მიმღების კატეგორიის იდენტიფიცირება და მის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა დაწესებულებას ხელს უწყობს მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერად წარმართვაში. მონაცემთა გადაცემას შესაძლოა თან ახლდეს გარკვეული რისკები (მაგალითად, არაზუსტი მონაცემების გადაცემის შემთხვევაში მონაცემების სწრაფად განახლება შესაძლოა, არსებითად განაპირობებდეს სუბიექტისთვის ზიანის მიყენების საფრთხის შემცირებას), ხოლო მონაცემთა მიმღების კატეგორიების აღრიცხვა ორგანიზაციას საშუალებას აძლევს წინასწარ შეაფასოს სამომავლო რისკები, კონკრეტული შემთხვევის არსებობისას დროულად დაუკავშირდეს მონაცემთა

[25] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი.

[26] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი.

მიმღებს და თავიდან აიცილოს სხვადასხვა სახის ნეგატიური შედეგი. გარდა ამისა, მოცემული ინფორმაცია პირდაპირ კავშირშია მონაცემთა სუბიექტის უფლებათა რეალიზებასთან. კანონის მე-13 მუხლი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის უფლებას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან უსასყიდლოდ მიიღოს ინფორმაცია, მათ შორის, მონაცემთა მიმღების ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიის შესახებ, ხოლო 24-ე მუხლი კი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ავალდებულებს მონაცემების უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებისას მას მიაწოდოს, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თაობაზე.

ამდენად, კარგ პრაქტიკად არის მიჩნეული დაწესებულების მიერ მონაცემთა დამუშავების თითოეულ პროცესთან მიმართებით მონაცემთა მიმღებების კატეგორიების თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად ფლობა. აღნიშნულს მნიშვნელობა აქვს კანონის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნითაც, ვინაიდან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირმა, სხვა პირებთან ერთად, ყველა მონაცემთა მიმღებს უნდა შეატყობინოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო. შესაბამისად, თუ დაწესებულებას არ აქვს აღრიცხული მონაცემთა მიმღების კატეგორიები, მისი მხრიდან საკითხზე სწრაფი რეაგირება რთულდება, რაც უარყოფითად აისახება მონაცემთა დამუშავების პროცესზე.

თავის მხრივ, კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი სავალდებულოდ განსაზღვრავს არა მონაცემთა მიმღების ვინაობის/საიდენტიფიკაციო მონაცემების დასახელებას, არამედ - მონაცემთა მიმღების კატეგორიის თაობაზე ინფორმაციის ასახვას, რაც განპირობებულია თავად ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტის სპეციფიკურობიდან. ვინაიდან კანონის 28-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დროს დაწესებულებებისათვის შესაძლოა არ იყოს კონკრეტულად ცნობილი მონაცემთა მიმღების ვინაობა, მათთვის მსგავსი ინფორმაციის პროაქტიულად აღრიცხვის ვალდებულების დაკისრება არ იქნებოდა გამართლებული. რეკომენდაციის სახით მხედველობაშია მისაღები, რომ მონაცემთა მიმღების კატეგორიებში ინფორმაცია შესაძლებლობის გათვალისწინებით მაქსიმალურად კონკრეტული იყოს (მაგალითად, აისახოს მიმღების ტიპი,

დაიდენტიფიცირდეს განხორციელებული აქტივობები (შესაბამისი ინდუსტრია, სექტორი, ქვესექტორი ან/და სხვა)[27].

სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე მონაცემთა მიმღების კატეგორიების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულებასთან მიმართებით რანდენიმე აღსანიშნავი ტენდენცია გამოიკვეთა.

დოკუმენტაციების დიდი ნაწილი მონაცემთა მიმღების კატეგორიების შესახებ ინფორმაციას თანმიმდევრულად ასახავს. მაგალითად, საგანმანათლებლო სექტორში არაერთ სკოლას მოსწავლის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებულ მონაცემებთან მიმართებით, მონაცემთა მიმღების კატეგორიების აღრიცხვის მიზნით, ხშირად დასახელებული აქვს სოციალური სამსახური/სოციალური მუშაკი და მშობელი. გარდა ამისა, სკოლებს ხშირად უწევთ მიაწოდონ ინფორმაცია სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების სააგენტოს, რომელიც თავის მხრივ, ახორციელებს ეროვნულ სამხედრო სამსახურში წვევამდელის გაწვევის ორგანიზებასა და კანონით დადგენილი წესით წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე პირის აყვანას. შესაბამისად, მონაცემთა მიმღების კატეგორიაში ზემოაღნიშნული სააგენტოს განმარტება მართებულია. ცალკე აღსანიშნავია რამდენიმე სკოლის მიერ სამედიცინო გადაუდებელი შემთხვევების მართვის მიზანთან მიმართებით მონაცემთა მიმღების კატეგორიაში მშობლისა და სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის დასახელება. გარდა საგანმანათლებო სექტორისა, დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა სხვა საჯარო უწყებასთან მიმართებით. კერძოდ, არაერთი დაწესებულება მონაცემთა მიმღების კატეგორიაში ასახელებს სადაზღვევო კომპანიებს (მათ შორის, კონკრეტული დასახელებით), მობილურ ოპერატორებს (კორპორატიულ ნომრებზე გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნებთან მიმართებით), კომერციულ ბანკებს და ა.შ. კარგი პრაქტიკის მიზნებისთვის აღსანიშნავია ერთ-ერთი საჯარო დაწესებულება, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზებასა და მის განხორციელებას უწყობს ხელს. მის მიერ წარმოდგენილ აღრიცხვის დოკუმენტში, მონაცემთა მიმღების კატეგორიების აღრიცხვის მიზნით, დასახელებულია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელი დაწესებულებები, სასამართლო, საკურიერო მომსახურების კომპანიები, სადაზღვევო კომპანიები, სახელფასო და ჯანდაცვის პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართული საჯარო და კერძო დაწესებულებები და სხვა. ამდენად, ეს კონკრეტული აღრიცხვის

[27] Article 29 Working Party Guidelines on transparency under Regulation 2016/679, გვ.37. <https://www.edpb.europa.eu/our-work-tools/our-documents/article-29-working-party-guidelines-transparency-under-regulation_en>.

დოკუმენტი თვალსაჩინო მაგალითია თუ როგორ შეიძლება საჯარო უწყებებმა მონაცემთა მიმღების კატეგორიისთვის დამახასიათებელი ზოგადი ფორმულირება საკუთარ მონაცემთა დამუშავების პრაქტიკას მიუსადაგონ.

ამავდროულად, ვალდებულების ნაკლოვანი შესრულების თაობაზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ:

ინფორმაციის არასრულად ასახვასთან დაკავშირებული გამოწვევები:

- ზოგიერთ შემთხვევებში, დაწესებულების მიერ შექმნილ ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტებში, ცალკე, დამოუკიდებელი სახით მონაცემთა მიმღების კატეგორია არ ფიქსირდება. მართალია, კანონი ცალკეული ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დეტალებს არ განსაზღვრავს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია მონაცემთა მიმღების კატეგორიაზე დოკუმენტში რაიმე აღქმადი სახით ფიქსირდებოდეს;
- არაერთ შემთხვევაში, წარმოდგენილ დოკუმენტებში (რომელთაც, ძირითადად, ცხრილის სახე აქვს) ცალკეული გრაფით არის გამოყოფილი მონაცემთა მიმღების კატეგორიები, თუმცა აღნიშნული გრაფა, მონაცემთა დამუშავების პროცესებთან მიმართებით ან ცარიელია ან ფიქსირდება შემდეგი სიტყვები: „არა“, „არ ხორციელდება“. კანონი მონაცემთა მიმღებს და, შესაბამისად, მონაცემთა მიმღების კატეგორიას საკმაოდ ფართოდ განსაზღვრავს და მას მიაკუთვნებს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან საჯარო დაწესებულებას, რომელსაც მონაცემები გადაეცა (გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა). საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, დაწესებულებები უამრავი სახის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ, რასაც თავად მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაც ადასტურებს. მაგალითისთვის, საგანმანათლებო სექტორში ხშირად ფიქსირდება პირველკლასელთა რეგისტრაციის მიზნით მონაცემთა დამუშავება ან მაგალითად, პედაგოგის დისციპლინური წარმოება. შედეგის შესაბამისად, ამგვარ მონაცემთა დამუშავების პროცესთან მიმართებით მეტად სავარაუდოა, რომ მონაცემთა მიმღების კატეგორიას შეიძლება წარმოადგენდეს მოსწავლეთა მშობლები, საზედამხედველო ორგანოები შესაბამისი საფუძვლების შემთხვევაში და სხვა. ასევე, საგულისხმოა, რომ სკოლების უმრავლესობას დოკუმენტში დასახელებული აქვს „სასკოლო ღონისძიებების/აქტივობების საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით სკოლის სოციალური ქსელის („Facebook“ გვერდის) მეშვეობით მოსწავლის მონაცემების ფოტოგამოსახულების გასაჯაროების გზით დამუშავება“. თუმცა, აღნიშნულ პროცესთან მიმართებით მონაცემთა მიმღების კატეგორია ხშირად ცარიელია. ასეთ მიზანთან მიმართებით,

სავარაუდოა, რომ მონაცემთა მიმღების კატეგორიაში განისაზღვროს შესაბამის სოციალურ ქსელში შექმნილი, მაგალითად, ღია ან დახურული ჯგუფის წევრები ან სკოლის აქტივობებით დაინტერესებული საზოგადოება ან/და სხვა. თუკი დაწესებულება უთითებს დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე, დამატებით უნდა გაანალიზდეს აღნიშნული პირი ამასთანავე მონაცემთა მიმღებს ხომ არ წარმოადგენს, ვინაიდან ასეთ პირებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ხშირად გადასცემენ მონაცემებს;

- ხშირ შემთხვევებში, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შესაბამისი გრაფის სახელწოდებაა: „მონაცემთა მიმღები“. კანონის 28-ე მუხლი არ ავალდებულებს დაწესებულებებს აღრიცხვის დოკუმენტში ასახონ უშუალოდ ვის გადაეცემა მონაცემები და ეს შესაძლოა გარკვეულწილად შეუძლებელიც იყოს. მაგალითისთვის, ერთ-ერთი სკოლის დოკუმენტში „მოსწავლის მიერ ესგ-თი განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგების დიაგნოსტირების“ მიზანთან მიმართებით გრაფაში „მონაცემთა მიმღები“ დასახელებულია - კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მითითებულია არა უშუალოდ კონკრეტული მონაცემთა მიმღები, არამედ მიმღების კლასიფიკაცია. ამგვარი მიდგომა არაერთ სკოლასთან მიმართებით ფიქსირდება. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც საქმიანობის სპეციფიკიდან, მათ შორის, მონაცემთა დამუშავების ერთგვაროვანი და ხანგრძლივი პრაქტიკიდან გამომდინარე, დაწესებულებისთვის უკვე განჭვრეტადია კონკრეტული მონაცემთა მიმღების ვინაობა. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის ასახვა 28-ე მუხლის ნაკლოვან შესრულებად არ იქნება მიჩნეული, თუმცა საჭიროა დაწესებულებებმა ასეთ დროს დამატებით აღრიცხონ, რომ ასახავენ მონაცემთა მიმღებს და არა - კატეგორიებს.

ტერმინის შინაარსობრივ მხარესთან/იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული გამოწვევები:

- არაერთ შემთხვევაში დაწესებულებები მონაცემთა მიმღების კატეგორიაში საკუთარ თავს მოიაზრებენ. საგანმანათლებლო სექტორის მიმართულებით, ხშირია დოკუმენტები, რომლებშიც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და მონაცემთა მიმღების კატეგორიაში დასახელებული პირი ერთსა და იმავე სუბიექტს წარმოადგენს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა მონაცემთა მიმღების კატეგორიაში უნდა ასახონ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც თავად გადასცეს/გადასცემენ მონაცემებს. შესაბამისად, ცალსახად არასწორია,

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა თავი მონაცემთა მიმღების კატეგორიად დააიდენტიფიციროს;

- გამოვლინდა იმგვარი შემთხვევები, როდესაც მონაცემთა მიმღების კატეგორიაში მითითებულია დაწესებულების თანამშრომლები ან დეპარტამენტები. მაგალითად, ერთ-ერთ სკოლას მონაცემთა მიმღებად განსაზღვრული ჰყავს სკოლის მასწავლებელი. აღნიშნული საკითხი მეტად სპეციფიკურია და იმისათვის, რათა დაწესებულებებმა სწორად აღიქვან შიდა სტრუქტურების ან დასაქმებული პირების მონაცემთა მიმღების კატეგორიაში ასახვის საჭიროება, პირველ რიგში განსახილველია თავად ამ პირების სამართლებრივი მდგომარეობა. აღნიშნული საკითხი შესწავლილია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში.[28] მითითებულ საქმეში პირი ითხოვდა ბანკს მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია ბანკში დასაქმებული პირებიდან ვის გადაეცა მისი მონაცემები. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე: დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან დასაქმებული პერსონალი არის თუ არა მონაცემთა მიმღები მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემებზე წვდომის უფლებასთან მიმართებით. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა მიმღებზე ან მონაცემთა მიმღების კატეგორიებზე, ეს არ ვრცელდება დასაქმებულ პერსონალზე, ვინაიდან პირები, რომლებიც მათზე დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დაკისრებული უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლებში ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს, ახორციელებენ მათზე წვდომას, მონაცემთა მიმღებად არ იქნებიან მიჩნეული.[29] ამასთანავე, სასამართლომ არ გამორიცხა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება, რათა დარწმუნდეს რომ მონაცემები უკანონოდ არ მუშავდება, თუმცა მნიშვნელოვანია დაცული იყოს დასაქმებული პირების უფლებები. ასეთ შემთხვევაში საკითხი ინდივიდუალურად, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად უნდა გადაწყდეს. სასამართლოს მოსაზრებით, თუკი მონაცემთა სუბიექტი მიიჩნევს, რომ მისი მონაცემები უკანონოდ მუშავდება, მას აქვს უფლება მიმართოს საზედამხედველო ორგანოს. ხოლო, საზედამხედველო ორგანო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვს ნებისმიერ ინფორმაციას, რაც საჭიროა მონაცემთა

[28] Court of Justice of the European Union (CJEU), Case C579/21, 22 June 2023. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:62021CJ0579>.

[29] Court of Justice of the European Union (CJEU), Case C579/21, 22 June 2023. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:62021CJ0579>. პარ. 73.

სუბიექტის განცხადების შესასწავლად.[30] ევროკავშირის მასშტაბით არსებობს ცალკეული პრაქტიკული შემთხვევები, როდესაც მონაცემთა აღრიცხვის დოკუმენტთან მიმართებით საზედამხედველო ორგანოები რეკომენდაციის სახით ამგვარი პირების ასახვაზე მიუთითებენ. მაგალითად, საფრანგეთის საზედამხედველო ორგანოს მიერ შექმნილ აღრიცხვის დოკუმენტის ნიმუშში, ცალკე გრაფა ეთმობა მიმღების ტიპებს, რომელშიც მათ შორის, ფიქსირდება შიდა დეპარტამენტი (მაგ., ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი). ასევე, ამგვარი მიდგომაა დანერგილი ბელგიის საზედამხედველო ორგანოს მიერ, რომელშიც აღწერილია, რომ მონაცემთა მიმღების კატეგორიებში აღირიცხება, მათ შორის, შიდა დეპარტამენტები და გარე ორგანოები, როგორიცაა, მაგალითად, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები;

- ზოგიერთ დოკუმენტში დაწესებულებებს მონაცემთა მიმღების კატეგორიაში აღრიცხული აქვთ ვებსაიტების, პროგრამების, გარკვეული ელექტრონული სისტემების სახელწოდებები, მაგალითად, „EFLOW", "eschool" ან სხვა, საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში კი - „hr.gov.ge". კანონი მონაცემთა მიმღებად მიიჩნევს მხოლოდ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ასევე საჯარო დაწესებულებას, ხოლო მონაცემთა მიმღების კატეგორიად - მონაცემთა მიმღების კლასიფიკაციას/დაჯგუფებას საქმიანობის სფეროს ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით. ამგვარად, ცხადია, რომ თავისთავად მხოლოდ ვებსაიტი/პროგრამა/ელექტრონული სისტემა ვერ ჩაითვლება მონაცემთა მიმღების კატეგორიად;
- ერთ-ერთ შემთხვევაში, მონაცემთა მიმღების კატეგორიაში დაფიქსირდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური". კანონის თანახმად, სამსახური არ წარმოადგენს მონაცემთა მიმღებს. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დაწესებულების საქმიანობის გათვალისწინებით, შესაძლოა კანონმდებლობა განსაზღვრავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ავტომატური რეჟიმით ინფორმაციის გადაცემას, სამსახური მონაცემთა მიმღების კატეგორიაში არ უნდა აღირიცხოს.

ზოგად ფორმულირებასთან დაკავშირებული გამოწვევები:

- ხშირად, განსაკუთრებით საჯარო უწყებების შემთხვევებში, მონაცემთა მიმღების კატეგორიებში აღრიცხული ინფორმაცია ძალიან ზოგადია. მაგალითად, „საჯარო

[30] Court of Justice of the European Union (CJEU), Case C579/21, 22 June 2023. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:62021CJ0579>. პარ. 82.

დაწესებულებები“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირები“, „სხვა უწყებები“, „კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი სახელმწიფო უწყებები“, „კერძო კონტრაქტორები“ და სხვ. ასეთი პრაქტიკა გაურკვევლობას იწვევს, ვინაიდან რთულია დადგინდეს რეალურად რა სფეროში ხდება მონაცემების გადაცემა. 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიზანია, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა მონაცემთა მიმღების კატეგორია უფრო კონკრეტულად ასახონ, ხოლო ზოგადი ფორმულირებები შემდგომში ხელს შეუშლის როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზებას (მაგალითად, კანონის მე-13, მე-14 და 24-ე მუხლების ჯეროვან განხორციელებას), ასევე, სამსახურის მხრიდან საზედამხედველო ფუნქციების აღსრულებას;

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უმეტესად არ არის მითითებული, კონკრეტულად რომელი მონაცემების გაზიარება ხდება მონაცემთა მიმღების კატეგორიებთან და რა მიზნობრიობით ხდება გადაცემა. ზოგ შემთხვევაში ტექნიკური ხარვეზების გამო ცხრილები ისეა შევსებული, რომ მკითხველისთვის აღსაქმელი არ არის მონაცემთა მიმღებს, გადაცემულ მონაცემებსა და გადაცემის მიზანს შორის კავშირი. აღნიშნული გამოწვევები შეიძლება ხელისშემშლელი აღმოჩნდეს, მაგალითად, გამჭვირვალობის პრინციპის ზედმიწევნით შესრულებისთვის.

რეკომენდაციები:

- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში აღქმადი სახით, უმჯობესია მაგ., განცალკევებული გრაფის ფორმით ფიქსირდებოდეს ინფორმაცია მონაცემთა მიმღების კატეგორიების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში უწყებების მხრიდან დამატებით უნდა გაანალიზდეს ტერმინის არსი და, შესაბამისად, მონაცემების დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა აღრიცხვის დოკუმენტში უნდა ასახონ ყველა ის მიზნობრივი ჯგუფი/კატეგორია, ვისაც მონაცემები გადაეცემა. ხოლო, თუკი არსებობს იმგვარი შემთხვევები, როდესაც დაწესებულება კონკრეტულ მონაცემთა დამუშავების პროცესთან მიმართებით არ ახორციელებს მონაცემების გადაცემას და, შესაბამისად, არ არის შესაძლებელი მონაცემთა მიმღების კატეგორიების განსაზღვრა, გრაფის ცარიელი სახით დატოვება მაინც არ არის რეკომენდებული - უმჯობესია, მასში რეალური მოცემულობის შესაფერისი ჩანაწერის ასახვა;
- თუკი დაწესებულებისთვის წინასწარ განჭვრეტადია კონკრეტული მონაცემთა მიმღები, რეკომენდებულია, დაწესებულებებმა ასეთ დროს დამატებით რაიმე ფორმით მიუთითონ ამის თაობაზე, მაგალითად, შემდეგი სახით: „მონაცემთა

მიმღების კატეგორიები/მონაცემთა მიმღები“, რათა თავიდან იქნეს აცილებული კანონით განსაზღვრული ტერმინების აღრევა;

- აღრიცხვის დოკუმენტის მიზნებისათვის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არცერთ შემთხვევაში არ უნდა აისახოს მონაცემთა მიმღების კატეგორიაში. ასევე, სამსახური, კანონის თანახმად, არ წარმოადგენს მონაცემთა მიმღებს და შესაბამისად, მისი ასახვა მონაცემთა მიმღების კატეგორიაში არ არის მართებული;
- ნაცვლად, მაგალითად, ვებსაიტის და ელექტრონული პორტალებისა, მონაცემთა მიმღების კატეგორიაში უნდა აღირიცხოს ორგანიზაცია, რომელიც ვებსაიტს/ელექტრონულ სისტემას ფლობს და რეალურად იღებს მონაცემებს;
- აღრიცხვის დოკუმენტში ასახული ინფორმაცია მკაფიოდ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას დოკუმენტის გაცნობისას, მკითხველმა დააიდენტიფიციროს გადაცემულ მონაცემთა კატეგორია, ასევე გადაცემის მიზნები.

6. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი - ინფორმაცია სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების თაობაზე, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.

პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის საკითხების რეგულირება ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე ეფუძნება და იზიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დადგენილ მიდგომებსა და მოთხოვნებს. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (GDPR) 44-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნიდან ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან სხვა მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავებაში ჩართული მხარეების მიერ დაცული იქნება GDPR-ის მოთხოვნები, რათა რეგულაციით დადგენილი ფიზიკური პირის დაცვის გარანტიები სრულად იყოს უზრუნველყოფილი.

საგულისხმოა, რომ კანონი პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის ცნებას არ განმარტავს, თუმცა არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომელთა ერთობლიობაში შეფასების პირობებშიც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შესაძლებლობა აქვს დააიდენტიფიციროს, არის თუ არა სახეზე მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა: მონაცემთა გადამცემს (ე.წ. ექსპორტიორი) უნდა წარმოადგენდეს საქართველოში არსებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო მონაცემთა მიმღები (ე.წ. იმპორტიორი) სხვა სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა იყოს, ანუ მონაცემთა „იმპორტიორი“ გეოგრაფიულად უნდა იმყოფებოდეს სხვა ქვეყანაში, ამავდროულად, დამუშავების კონკრეტული პროცესიდან გამომდინარე, მონაცემთა ექსპორტიორი მონაცემთა გადაცემის გზით უნდა ამჟღავნებდეს ან სხვაგვარად ხდიდეს ხელმისაწვდომს პერსონალურ მონაცემებს მონაცემთა იმპორტიორისთვის. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად[31], მონაცემთა გადაცემად ითვლება სხვა ქვეყნიდან მონაცემებზე წვდომის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობაც. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო გადაცემა სახეზე არ იქნება, თუ მონაცემთა მიმღები არის მონაცემთა გადამცემის თანამშრომელი, ან თუკი გამგზავნი და მიმღები არიან ერთი და იმავე ორგანიზაციები/იურიდიული პირები/ორგანიზაციის წევრები არიან.

შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული, მათ შორის, 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების უზრუნველსაყოფად, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შემთხვევების სწორი იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია ზემოხსენებული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა. ამავდროულად, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის კანონთან თავსებადობის მიზნებისთვის, სწორად უნდა დაიდენტიფიცირდეს თავად მონაცემთა გადაცემის გზით დამუშავების სპეციალური საფუძვლები.

კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი: მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით; დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და შესაბამის სახელმწიფოს, ასეთი სახელმწიფოს სათანადო საჯარო დაწესებულებას, იურიდიულ პირს ან ფიზიკურ

[31] The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Christopher Kuner, Lee A. ByGrave, Christopher Docksey, Oxford University Press, 2020, 763.

პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით; მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (საგამოძიებო მოქმედების განხორციელების მიზნით), „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ან „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტით; შესაბამის სახელმწიფოში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობისა და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მონაცემთა სუბიექტი განაცხადებს წერილობით თანხმობას; მონაცემთა გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს; არსებობს კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი (მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილება, გამოძიება, გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა, სასჯელის აღსრულება და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება) და მონაცემთა გადაცემა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

როგორც მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის პროცესის იდენტიფიცირება, ასევე, მონაცემთა გადაცემის გზით დამუშავების სპეციალური საფუძვლის განსაზღვრა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის (ექსპორტიორის) ვალდებულებაა. კანონის 85-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი წესების დარღვევით მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა სამართალდარღვევას წარმოადგენს და შესაბამისი სანქციის დაკისრების საფუძველია. შესაბამისად, სწორედ სამართალდარღვევის პრევენციას და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფას ემსახურება კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის მეშვეობით კანონის მოქმედების ფარგლებს დაქვემდებარებულმა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა აღრიცხოს ინფორმაცია სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების თაობაზე, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საჯარო უწყებათა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შეჯერების შედეგად გამოიკვეთა:

- საჯარო დაწესებულებათა უმრავლესობას მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შემთხვევები არ აქვს იდენტიფიცირებული;
- საჯარო უწყებათა მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს გრაფას მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შესახებ, თუმცა უმეტეს შემთხვევებში აღნიშნული ღიად არის დატოვებული;
- ცალკეულ უწყებებს გამიჯნული აქვს „საერთაშორისო გადაცემისა“ და „საერთაშორისო გარანტიების“ გრაფები, რომლებშიც მითითებულია - „ასეთი შემთხვევა არ არსებობს“.
- უკუკავშირის სახით წარმოდგენილ დოკუმენტებში შეიმჩნევა ფორმები, რომლებშიც ცალკე-ცალკე არსებობს გრაფები დასახელებით - „საერთაშორისო გადაცემის ფაქტის აღწერა“, „მონაცემთა მიმღები“, „მიზანი“, „გარანტიები“, „PDPS ნებართვა“. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, შევსებული არ არის. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ინფორმაცია აღრიცხულია, საერთაშორისო გადაცემის ფაქტად მითითებულია, მაგალითად, „კონფერენცია“, „მივლინება“, „ტრენინგი“ და მისთ., ხოლო მიმღები მხარე არც კონკრეტულად და არც კატეგორიათა შესაბამისად არის იდენტიფიცირებული, ისევე, როგორც - მონაცემთა გადაცემის სპეციალური საფუძველი და სათანადო გარანტიები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების - საჯარო სკოლების მხრიდან მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის არცერთი შემთხვევა არ არის იდენტიფიცირებული;
- ერთ-ერთი დაწესებულების შემთხვევაში „მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის“ გრაფაში მითითებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: „ელფოსტის სერვერი მდებარეობს ბელგიაში“, თუმცა დამატებით მონაცემთა დაცვისთვის განსაზღვრული გარანტიების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი ველი არ შეიცავს, მით უფრო, რომ ბელგიის სამეფო იმ სახელმწიფოების ნუსხაშია, რომლებშიც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები და, შესაბამისად, აღნიშნული უმარტივებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მონაცემთა დაცვის გარანტიების იდენტფიცირების შესაძლებლობას;
- ჯანდაცვის სექტორში არსებული ერთ-ერთი უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მონაცემების სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის გრაფაში მითითებულია შემდეგი: „საერთაშორისო კვლევით პროექტებში დაცულია პერსონალური მონაცემები (პაციენტის ინფორმირებული თანხმობა, დაიდენტიფიცირებული ინფორმაციის გაზიარება, აშშ-სა და ევროპის

ორგანიზაციებთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმები).“ საგულისხმოა, რომ ჩანაწერი საკმაოდ განზოგადებული სახით არის ფორმულირებული და საჭიროებს დაზუსტებას როგორც კონკრეტულ მონაცემთა დამუშავების პროცესში გადაცემული პერსონალური ინფორმაციის კატეგორიებისა და სახეების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის გარანტიებისა და მექანიზმების დეტალური აღწერის თვალსაზრისით, მით უფრო იმ პირობებში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ არის მიჩნეული მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე სახელმწიფოდ, ხოლო მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, როგორც საერთაშორისო გადაცემის სპეციალური საფუძველი, საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს;

- საჯარო დაწესებულებათა უმრავლესობას მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის გრაფაში მითითებული აქვს თანამშრომელთა მივლინების პროცესები, თუმცა დოკუმენტები დეტალურად არ შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული მონაცემების გადაცემის (თუნდაც ზოგადი ინფორმაციისა და კატეგორიებად დაჯგუფებული სახით), სპეციალური საფუძვლის, ან მონაცემთა დაცვის გარანტიების შესახებ;
- თანამშრომელთა საერთაშორისო მივლინების პროცესებთან მიმართებით, ერთეულ შემთხვევაში, 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ერთ-ერთი სამინისტროს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის შესაბამისად, დაკონკრეტებულია გადასაცემი მონაცემების სახეები, კერძოდ, მითითებულია, რომ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა ხდება სამსახურებრივი მივლინების დროს, ქვეყნის ფარგლებს გარეთ თანამშრომლის სახელის, გვარის, პოზიციის, საკონტაქტო მონაცემების ორგანიზატორი ქვეყნისთვის გადაცემით. ამავე დოკუმენტებში მონაცემთა სათანადო გარანტიების გრაფაში ვხვდებით დათქმას, რომლის შესაბამისადაც, „თუ მონაცემთა მიმღები არ შედის მონაცემთა სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში, მონაცემების გადაცემა ხდება (მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად) მონაცემთა სუბიექტის (თანამშრომლის) ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, შესაბამის სახელმწიფოში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობის და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ“. ამგვარი პრაქტიკა, ერთი მხრივ, შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს, რომ ორგანიზაციას სწორად აქვს აღქმული მონაცემთა საერთაშორისო გზით გადაცემის არსი, თუმცა, მეორე მხრივ, იკვეთება, რომ პროცესი სამომავლო, ჰიპოთეტურ ვითარებას მიემართება და მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სპეციალური საფუძვლებისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების თაობაზე უწყება შეფასებას ვერ ახორციელებს;

- საჯარო დაწესებულებათა ნაწილის მხრიდან კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის ფარგლებში ასახულია საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო პროფესიულ კავშირებსა და პარტნიორი ქვეყნების საჯარო უწყებებთან თანამშრომლობის შემთხვევები, ურთიერთობების გაღრმავებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ამ ნაწილში კი განზოგადებული სახით არის შესაბამის გრაფებში მითითება საერთაშორისო კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობის თაობაზე, რის ფარგლებშიც მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილია GDPR-ის პრინციპების შესაბამისად. საგულისხმოა, რომ ინფორმაციის ამგვარი ასახვა ვერ იქნება მიჩნეული კანონით გათვალისწინებული გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის საშუალებად;
- ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულის მიერ გაზიარებული ინფორმაციით, საერთაშორისო გადაცემა ხდება აშშ-ის კვლევით ინსტიტუტში, სათანადო გარანტიებად კი მონაცემთა „არაპერსონალიზებული (სიმბოლიზებული) სახით“ მიწოდების მოცემულობა არის მიჩნეული. ყურადსაღებია, რომ ხსენებული შემთხვევა საჭიროებს დაზუსტებას, უპირველესად - მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის პროცესის აღწერის კუთხით, შემდგომ კი შესაფასებელია, რა სპეციალურ საფუძველს ემყარება მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის გზით დამუშავება, რა იგულისხმება სიმბოლიზებული სახის მონაცემებში და რამდენად იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების შესაძლებლობას მონაცემთა დეპერსონალიზაციისთვის შერჩეული მეთოდი. ამ უკანასკნელს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს თავად პროცესის მონაცემთა საერთაშორისო გადაცემად კვალიფიცირების მიზნებისთვის, რამდენადაც დაშიფრული ან/და იდენტიფიცირების შესაძლებლობას მოკლებული ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებად ვერ მიიჩნევა, ხოლო ასეთი ინფორმაციის გაზიარების პროცესი - მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შემთხვევად;
- საგანმანათლებლო სექტორში მოღვაწე საჯარო უწყებათა მხრიდან გაზიარებული ინფორმაციის შესაბამისად იკვეთება ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდების ადმინისტრირების მიზნებისთვის ხორციელდება „ხმის ნიმუშებისა“ და „გადაღებული ფოტოების“ გაზიარება ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების ჭრილში კი აღნიშნულ მონაცემებზე მხოლოდ უწყების ორი თანამშრომლის წვდომაა განსაზღვრული. ამასთან, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სპეციალურ საფუძვლად გამოცდაზე რეგისტრირებული პირების მხრიდან რეგისტრაციის დროს გაცხადებული თანხმობაა მიჩნეული. მოცემულ

შემთხვევებთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ უწყების თანამშრომელთა მხრიდან საგამოცდო შედეგებზე წვდომის შეზღუდვა მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მხოლოდ ერთი კომპონენტია, რომელიც მონაცემთა უსაფრთხოების ტექნიკურ-ორგანიზაციულ ზომებს უკავშირდება, თავად მონაცემთა დაცვის გარანტიები კი დოკუმენტებში ასახული არ არის და საჭიროებს დაზუსტებას;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შემთხვევებად იდენტიფიცირებულია სტუდენტთათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მოდულები, თუმცა აღნიშნულია, რომ გადასაცემი მონაცემები „კორესპონდენციის შინაარსის და მიზნის მიხედვით განსხვავებულია“;
- ერთ-ერთი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული ინფორმაციით, მონაცემთა მიმღების გრაფაში მითითებულია, მათ შორის, „სხვა სახელმწიფოში არსებული უნივერსიტეტები, საქართველოში განთავსებული სხვა ქვეყნის საელჩოები, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ფონდები და კომპანიები, რომლებიც სტუდენტებს ეხმარებიან დასაქმებაში“, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის გზით დამუშავების სპეციალურ საფუძვლად კი გვხვდება შემდეგი ფორმულირების ჩანაწერი: „მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება და წერილობითი თანხმობის აღება“;
- რიგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შემთხვევებად იდენტიფიცირებულია „მემორანდუმები სხვა სახელმწიფოებში არსებულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ნაწილში“, ხოლო მათ გასწვრივ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების გრაფა შეიცავს დათქმას, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების რეგულაციას თავად მემორანდუმი შეიცავს, ასეთის არარსებობის პირობებში კი მონაცემთა დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილი იქნება კანონთან შესაბამისი ღონისძიებებით (მაგ., თანხმობის აღებით);
- ერთ-ერთი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტებში ასევე ვხვდებით მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შემთხვევას, რომლის მიხედვით პერსონალური მონაცემების გაზიარება ხდება უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, სამეცნიერო ნაშრომთა საერთაშორისო რეცენზირებისას, მონაცემთა მიმღებს კი წარმოადგენენ უცხოელი ექსპერტები. მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიად კი იდენტიფიცირებულია ინფორმაციის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებულ სერვერზე განთავსება;

- ცალკეულ შემთხვევებში მონაცემთა მიმღების გრაფაში ასახულია, მათ შორის, საერთაშორისო გადაცემის იმპორტიორი მხარეც, თუმცა განზოგადებული სახით, მაგ.: „უცხო ქვეყნის ორგანიზაცია/დაწესებულება/მისი წარმომადგენლობა, რომელიც მართავს კონკრეტულ შეხვედრას/კონფერენციას“, „შესაბამისი საელჩო/საკონსულო“, „დელეგაციის მიმღები სასტუმრო“ და ა.შ. მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების ველი ხშირ შემთხვევაში ცარიელია, ხოლო რიგ უწყებებთან მიმართებით მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სპეციალურ საფუძვლად „საერთაშორისო ხელშეკრულება/შეთანხმება“ ფიქსირდება, ასეთი აქტის კონკრეტიზაციის გარეშე;
- ერთ-ერთი სამართალდამცავი ორგანოს მიერ გაზიარებული დოკუმენტის თანახმად, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა ხორციელდება სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში - „საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, იგზავნება და მიიღება გამოძიებისთვის საინტერესო სუბიექტის პერსონალური და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები“. ამასთან, უწყება, ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ანგარიშვალდებულია ევროპის საბჭოსა და გაეროს კომიტეტების წინაშე სტატისტიკური მონაცემების, სახელმწიფოს პოლიტიკისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით. ამავე დოკუმენტში მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შემთხვევად იდენტიფიცირებულია იმგვარი ფაქტები, როდესაც უწყება უცხო ქვეყნის მოქალაქის განცხადების საფუძველზე ამზადებს გარკვეული სახის კორესპონდენციას და ამ ფარგლებში ამუშავებს მონაცემებს, თუმცა ხსენებული შემთხვევა მოითხოვს დაზუსტებას, რამდენადაც მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის გზით დამუშავების ფაქტის არსებობისთვის აუცილებელია როგორც კანონის მოქმედების ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინება, აგრეთვე თავად უწყების საკანონმდებლო მანდატის ფარგლები არა მხოლოდ დასახელებულ პროცესთან, არამედ - მონაცემთა დამუშავების სრულ ციკლთან (მონაცემთა მოპოვების, შეგროვების, შენახვის და ა.შ.) მიმართებით.

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო უწყებები საქმიანობას ახორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებული მანდატისა და უფლებამოსილების ფარგლებში, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის პროცესები სახელმწიფო ინტერესის სფეროს მიკუთვნებული ამოცანების შესრულების დროს წარმოშობილ პროცესებს მოიაზრებს, რაც ხშირ შემთხვევაში ერთგვაროვანია და მხოლოდ სამუშაო სპეციფიკის მიხედვით თუ იქნება მათ შორის არსებითი სხვაობა. შესაბამისად,

საერთაშორისო გადაცემის შესახებ ინფორმაციაც უმეტესწილად იმ საჯარო დაწესებულებათა მიერ გაზიარებულ დოკუმენტებშია ასახული, სადაც აღნიშნული პროცესები აქტიურად ვითარდება.

უწყებათა მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე კი გამოიკვეთა გარკვეული სახის საჭიროებები, რომელთა გათვალისწინება კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესრულებას უკეთ უზრუნველყოფს. კერძოდ, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში სწორი სახით ასახვის მიზნით,

რეკომენდებულია:

- მაქსიმალურად კონკრეტულად დაიდენტიფიცირდეს მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის თითოეული პროცესი, შეფასდეს არის თუ არა სახეზე უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან მონაცემთა მიღების ფაქტი;
- ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მონაცემთა გადაცემის აქტიური და პასიური (ე.წ. დისტანციური წვდომის მინიჭების) პროცესები;
- დაიდენტიფიცირდეს, გადაიხედოს და სწორად შეფასდეს მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის გზით დამუშავების თითოეული პროცესის შესაბამისი სპეციალური საფუძველი, რამდენადაც, მაგალითისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან საერთაშორისო გამოცდების ორგანიზება-ადმინისტრირების მიზნებისთვის მონაცემთა საერთაშორისო გადაცემას/გაზიარებას შესაძლოა ჰქონდეს სხვა საფუძველიც (აღნიშნული პირდაპირ იყოს გათვალისწინებული კანონმდებლობით, ან/და აღნიშნულის განხორციელებას საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება განსაზღვრავდეს);
- დაზუსტდეს მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის გზით გასაზიარებელი თითოეული მონაცემის სახე (თუნდაც განზოგადებულად, მაგ.: საიდენტიფიკაციო მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.), რომლის გადაცემის გარეშე შეუძლებელი იქნება კონკრეტული მიზნის მიღწევა;
- მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის გზით დამუშავების თითოეული პროცესის მიმართ შეფასდეს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის ფაქტი, მათ შორის, მიეთითოს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის მექანიზმების თაობაზე, ან/და აღიწეროს

მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები;

- ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სპეციალური საფუძველი და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების უზრუნველსაყოფად შერჩეული საშუალება;
- კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ღიად არ იქნეს დატოვებული პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტის შესაბამისი ველები. იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტულ დამუშავების პროცესში ორგანიზაცია მონაცემთა საერთაშორისო გადაცემას არ ახორციელებს, აღნიშნულის თაობაზე გრაფებში მიეთითოს შესაბამისი ფორმულირებით.

7. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი - ინფორმაცია მონაცემთა შენახვის ვადების შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, მათი შენახვის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და მისი სპეციალური წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვალდებულია, წერილობით ან ელექტრონულად დააფიქსირონ პერსონალური მონაცემთა შენახვის ვადები ან, თუ კონკრეტული ვადის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მიუთითონ კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შენახვის ვადა განისაზღვრება.[32]

მონაცემთა შენახვის ვადის განსაზღვრა პერსონალური მონაცემთა დაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. მისი არსი მდგომარეობს მონაცემების მხოლოდ იმ ვადით შენახვაში, რაც აუცილებელია მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად.[33] ამ პრინციპის დაცვა ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს:

- მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების და უსაფრთხოების უფლების დაცვა: რაც ნაკლებია მონაცემის შენახვის ვადა, მით დაბალია მისი გაჟონვის, დაკარგვის ან არაავტორიზებული წვდომობის რისკი;
- კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და სანქციების რისკის შემცირება;

[32] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[33] EU Commission, “For how long can data be kept and is it necessary to update it?” <https://commission.europa.eu/law/law-topic/data-protection/rules-business-and-organisations/principles-gdpr/how-long-can-data-be-kept-and-it-necessary-update-it_en>.

- მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა: ორგანიზაციას უნდა შეეძლოს დაასაბუთოს, რატომ და რა ვადით ინახავს კონკრეტულ მონაცემებს;
- ტექნიკური და ფინანსური ხარჯებისა და კიბერუსაფრთხოების რისკების შემცირება, რომლებიც ხშირად თან სდევს მონაცემთა ხანგრძლივ შენახვას.[34]

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“[35] (GDPR) მე-5 (1)(e) მუხლი ადგენს, რომ მონაცემები უნდა ინახებოდეს მხოლოდ იმ ვადით, რაც საჭიროა მათი დამუშავების მიზნისათვის. აღნიშნული ნიშნავს, რომ ვადის განსაზღვრა წინასწარ უნდა მოხდეს დამუშავების მიზნიდან გამომდინარე და სათანადოდ უნდა აისახოს ორგანიზაციის შიდა დოკუმენტაციაში. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზედამხედველო ორგანოების (DPAs) პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჯარო დაწესებულებებს თუ კერძო ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევებში არ აქვთ წინასწარ და მკაფიოდ განსაზღვრული მონაცემთა შენახვის პოლიტიკა (“Data Retention Policy”), რის საფუძველზეც საზედამხედველო ორგანოები ადგენენ დარღვევას. მაგალითად, 2022 წლის 10 ნოემბერს საფრანგეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (CNIL) კომპანია “Discord” 800 000 ევროს ოდენობით დააჯარიმა მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის დარღვევისთვის, ვინაიდან კომპანიას არ ჰქონდა მკაფიოდ განსაზღვრული შენახვის ვადები.[36]

შენახვის ვადების განსაზღვრისას ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს:

- მონაცემთა დამუშავების მიზანი და ხანგრძლივობა;
- მოქმედი სამართლებრივი ან სახელშეკრულებო ვალდებულებები;
- მონაცემთა კატეგორიები (მაგალითად, თუ მუშავდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები);
- მონაცემთა სუბიექტების ინტერესები და მათ წინაშე მდგარი რისკები – რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მოკლე უნდა იყოს შენახვის ვადა;
- სხვა ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ვადის განსაზღვრასა ან შეცვლაზე (მაგალითად, შესაძლო სამართლებრივი დავის წარმოშობა).[37]

---

[34] GDPR Local, “The Importance of Data Retention (Updated 2025)” <https://gdprlocal.com/the-importance-of-data-retention/>.

[35] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) („რეგულაცია“ ან “GDPR”).

[36] *იქვე.*

[37] *იქვე.*

- ევროკავშირის საზედამხედველო ორგანოების მიერ საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციას შემუშავებული აქვს მონაცემთა შენახვის პოლიტიკა (“Data Retention Policy”), რომელიც აღწერს როგორც კონკრეტულ ვადებს, ასევე კრიტერიუმებს იმ შემთხვევაში, როდესაც ვადის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთი პოლიტიკა:
  - განამტკიცებს ორგანიზაციის ანგარიშვალდებულებასა და მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობასთან შესაბამისობას;
  - უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და პროგნოზირებადობას სხვადასხვა პროცესში;
  - ამცირებს რისკებს, რაც უკავშირდება დიდი რაოდენობით მონაცემების შენახვას.[38]

მონაცემთა შენახვის ვადებთან დაკავშირებული რელევანტური კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლის („პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება“) ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებში თანმიმდევრულად უსვამს ხაზს, რომ მონაცემთა შენახვის ვადები უნდა იყოს მიზანთან თანაზომიერი, კონკრეტულ მონაცემთა კატეგორიების სპეციფიკაზე მორგებული, საჭიროების შემთხვევაში განახლებული. მაგალითად:

- საქმეში: **„დრელონი საფრანგეთის წინააღმდეგ“** (2022) - სასამართლომ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების (რომელიც ეხება მონაცემთა სუბიექტის სქესობრივ ცხოვრებას) ავტომატური და უკიდურესად ხანგრძლივი ვადით შენახვა („სისტემური კონფიგურაციით – 2278 წლამდე“) ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-8 მუხლს. სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ ვარაუდზე დაფუძნებული ჩანაწერი ვერ ამართლებს მონაცემების ხანგრძლივ შენახვას, განსაკუთრებით კი მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე;[39]
- საქმე: **„გაუღანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“** (2020) - ეხებოდა მსჯავრდებული პირების ბიომეტრიული მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვას. სასამართლომ დაასკვნა, რომ შენახვის რეჟიმი, რომელიც არ ითვალისწინებდა დანაშაულის სიმძიმეს, არ განსაზღვრავდა კონკრეტულ ვადებს, არ უზრუნველყოფდა რეგულარულ გადახედვას და წაშლის მოქმედ მექანიზმს,

[38] *იქვე.*
[39] *Drelon v. France*, App. nos. 3153/16 and 27758/18, Judgment of 8 September 2022.

ვერ იცავდა სამართლიან ბალანსს საჯარო ინტერესებსა და მონაცემთა სუბიექტის უფლებებს შორის და, შესაბამისად, არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს;[40]

- საქმეში: **„Big Brother Watch და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“** (2021) - სასამართლომ სისტემურად განიხილა მასობრივი ზედამხედველობის რეჟიმი და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მონაცემთა მსგავსი დამუშავების დროს ვადების მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობას. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპოვებული მასალა უნდა ინახებოდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ვადით (პრაქტიკაში – ჩვეულებრივ ორ წელზე ნაკლები) და საჭიროების დაკარგვისთანავე უნდა განადგურდეს. ასეთი წესები მკაფიოდ უნდა იყოს დადგენილი კანონმდებლობით და გამყარებული დამოუკიდებელი ზედამხედველობისა და გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმებით;[41]
- საქმეში: „**P.N. გერმანიის წინააღმდეგ**“ (2020) – სასამართლომ ფოტოებისა და თითის ანაბეჭდების ხუთწლიანი შენახვა, რაც ექვემდებარებოდა პერიოდულ გადახედვას და უზრუნველყოფდა მონაცემთა წაშლის ეფექტიან მექანიზმს - შეაფასა თანაზომიერად. გადამწყვეტი აღმოჩნდა ფაქტორი, რომ მონაცემთა შენახვის ვადა იყო მკაფიო და განსაზღვრული, მონაცემთა შენახვა ეფუძნებოდა ინდივიდუალური რისკების შეფასებას და მოქმედებდა მტკიცე პროცესუალური გარანტიები.[42]

საგულისხმოა, რომ მონაცემთა დაცვის სამართლის სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობა მონაცემთა დამუშავების ვადის შეზღუდვის პრინციპის დაცვის მიზნებისთვის ჰარმონიზაციაშია საერთაშორისოსამართლებრივ მიდგომებთან და იზიარებს ევროპულ გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტში მონაცემთა დამუშავების ვადების/ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების ასახვას დიდი ყურადღება ექცევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობის ფარგლებში.

საჯარო უწყებათა მხრიდან წარმოდგენილი აღრიცხვის ფორმებიც სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით შეფასდა და გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების

[40] *Gaughran v. the United Kingdom*, App. no. 45245/15, Judgment of 13 February 2020.
[41] *Big Brother Watch and Others v. the United Kingdom* [GC], App. nos. 58170/13, 62322/14 and 24960/15, Judgment of 25 May 2021.
[42] *P.N. v. Germany*, App. no. 74440/17, Judgment of 11 June 2020.

უმრავლესობაში ფორმალური ვალდებულება - მონაცემთა შენახვის ვადების მითითების კუთხით - შესრულებულია, თუმცა შინაარსობრივად **როგორც სკოლებში, ასევე რესურსცენტრებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში, იკვეთება რამდენიმე განმეორებადი ხარვეზი.**

მონაცემთა შენახვის ვადების არასწორი განსაზღვრა ან ვადების ხანგრძლივობის შესახებ გაურკვევლობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რაც დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა. არაერთ შემთხვევაში მითითებულია, რომ მონაცემები ინახება „კანონით გათვალისწინებული ვადით“, თუმცა არ იდენტიფიცირდება, თუ რომელი ნორმატიული აქტით არის დარეგულირებული აღნიშნული საკითხი. ასევე, ხშირია ზოგადი ფორმულირებები, როგორიცაა „მიზნის მისაღწევად საჭირო ვადის გასვლამდე“, „საჭირო ვადით“ ან „განუსაზღვრელი ვადით“.

ტენდენციები და ცალკეული განმეორებადი ნაკლოვანებები:

- ზოგადი და აბსტრაქტული ფორმულირებების გამოყენება: მრავალი საჯარო დაწესებულება, განსაკუთრებით სკოლები და რესურსცენტრები, მონაცემთა შენახვის ვადას აღწერს ფორმულირებით: „მიზნის მისაღწევად საჭირო ვადის გასვლამდე“. მსგავსი ზოგადი ჩანაწერი ვერ პასუხობს კანონის მოთხოვნებს, ვინაიდან ვერ უზრუნველყოფს განსაზღვრულობის, განჭვრეტადობისა და ანგარიშვალდებულების კრიტერიუმებს. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა გულისხმობს კონკრეტული ვადის იდენტიფიცირებას ან, მინიმუმ, იმ კრიტერიუმების მკაფიო ჩამოყალიბებას, რომლებიც განსაზღვრავს ვადას (მაგალითად: სამართლებრივი ვალდებულება, სარჩელის წარდგენის საპროცესო ვადა, საგადასახადო დოკუმენტაციის შენახვის მოთხოვნა და სხვ.);
- ზოგიერთ დოკუმენტში გამოყენებულია მხოლოდ ფრაზა „კანონის შესაბამისად“, კონკრეტული ნორმატიული აქტისა და შესაბამისი დებულების მითითების გარეშე. მსგავსად ამისა, ხშირია ვადის ფორმულირების - „მუდმივად შესანახი“ - მითითება, რაც შესაძლოა საჭიროებდეს პროპორციულობის თვალსაზრისით საკითხის გადახედვას. საილუსტრაციოდ, ზოგიერთი სკოლის მიერ თანამშრომელთა ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია მითითებულია როგორც „მუდმივად შესანახი“. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას - კერძოდ, უნდა განისაზღვროს, ეკუთვნის თუ არა ეს ინფორმაცია თანამშრომლის პირად საქმეს, თუ წარმოადგენს ფინანსურ დოკუმენტაციას, რომლის შენახვის ვადა განსხვავებულად განისაზღვრება;

- გრაფების არათანმიმდევრული შევსება: ზოგიერთ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს გრაფები: „ვადა“ და „ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები“, თუმცა არცერთი მათგანი არ არის სათანადოდ შევსებული. ზოგჯერ გრაფები საერთოდ ცარიელია ან მხოლოდ სამართლებრივი აქტი სახელდება, მაგრამ პრაქტიკული მექანიზმი – როგორ ხდება კონკრეტული ვადის დადგენა – არ არის აღწერილი.

დადებითი ტენდენციებიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ შემთხვევებზე:

- ერთ-ერთი სამინისტროს მიერ შევსებულ მონაცემთა აღრიცხვის ფორმაში მონაცემთა შენახვის ვადები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით და შეესაბამება დოკუმენტბრუნვის ნომენკლატურას. მაგალითად: შრომითი ურთიერთობები – 5 წელი; უცხო ქვეყნების მოქალაქე სტუდენტებისათვის სახელმწიფო სასწავლო და სასწავლო სამაგისტრო გრანტების გაცემის დაგეგმვა და განხორციელება – 50 წელი; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება – 6 წელი, სხვ. დოკუმენტაციის მატერიალურად შენახვასთან მიმართებით მითითებულია კონკრეტული ვადები ან შესაბამისი სამართლებრივი აქტები. აუდიომონიტორინგის შემთხვევაში ვადები განსაზღვრულია სპეციალური წესით. ამასთან, მითითებულია ვადების განსაზღვრის სამართლებრივი საფუძველი და მითითებული ვადების შესაბამისობა ნომენკლატურასთან. ასეთი სტრუქტურირებული მიდგომა უზრუნველყოფს სამართლებრივ სიცხადეს;
- ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მაგალითად, მონაცემთა სხვადასხვა კატეგორიისთვის განსაზღვრულია განსხვავებული ვადები (შრომითი დოკუმენტაცია – დირექტორის ბრძანებით; კონკურსის ჩანაწერები – გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე; სამხედრო სამედიცინო კომისიის ბარათები – 5 წელი კომისიაში და შემდეგ არქივში გადაცემა კანონით დადგენილი ვადით). ასევე, დადებითი პრაქტიკაა, როდესაც უწყებაში მოქმედებს დოკუმენტების შემფასებელი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ვადების განსაზღვრასა და საჭიროების შემთხვევაში გადახედვას.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი ფორმულირებები ჩანაცვლდეს კონკრეტული ვადებით ან მკაფიო კრიტერიუმებით: ფორმულირება „მიზნის მისაღწევად საჭირო

ვადის გასვლამდე“ აუცილებელია შეიცვალოს წინასწარ განსაზღვრული ვადით ან კონკრეტული კრიტერიუმებით, რომლებიც განსაზღვრავს ვადის ხანგრძლივობას;

- მიზანშეწონილია, მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრისას აისახოს შესაბამისი საფუძველი და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა შენახვის ვადა;
- მონაცემთა შენახვის ვადები უნდა განისაზღვროს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული შეუთავსებლობა საქმის წარმოების ნომენკლატურასთან, ამასთან, დაცული იყოს მიზნის პროპორციულობის პრინციპი;
- მნიშვნელოვანია დაინერგოს მონაცემთა შენახვის აუცილებლობის პერიოდული გადახედვისა და წაშლის მექანიზმები: სასურველია, ორგანიზაციებმა უზრუნველყონ რეგულარული გადახედვის მექანიზმები და წაშლის პროცედურები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებისთვის;
- აუცილებელია ინფორმაციის აღრიცხვის გრაფები შეივსოს სრულყოფილად, რათა დოკუმენტი რეალურად ასახავდეს პრაქტიკას და არ დარჩეს მხოლოდ ფორმალურ ვალდებულებად.

8. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი - მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ზოგადი აღწერა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი მოიცავს ვალდებულებას - დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა და მისმა სპეციალურმა წარმომადგენელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წერილობით ან ელექტრონულად წარმოადგინონ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ზოგადი აღწერა.[43]

მონაცემთა დამუშავების პროცესში მონაცემთა უსაფრთხოება ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. კანონი ავალდებულებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს მიიღონ ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისა და დაზიანებისგან.[44]

[43] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023).
[44] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (3144-XIმს-Xმპ, 03/07/2023) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ზომების შერჩევისა და განხორციელებისას ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ ტექნოლოგიების განვითარების დონე, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები და დამუშავების მიზანი და ხასიათი. თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული და რისკებზე დაფუძნებული მიდგომა ხელს უწყობს მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვას, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევების (ინციდენტების) პრევენციას, მის მართვას და სხვა.

მონაცემთა დაცვის ზომების განსაზღვრისას აუცილებელია, მათ შორის, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება: კონფიდენციალურობა (მონაცემებზე წვდომის შეზღუდვა მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის); მთლიანობა (შესაძლოა დაირღვეს მონაცემთა შემთხვევითი ან არაავტორიზებული შეცვლით); ხელმისაწვდომობა.[45]

მონაცემთა უსაფრთხოება მოიცავს როგორც კიბერუსაფრთხოების, ისე ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების კომპონენტებს.[46] ორგანიზაციებს მოეთხოვებათ რეგულარულად შეაფასონ რისკები და გადაამოწმონ, შეესაბამება თუ არა მათი უსაფრთხოების ღონისძიებები თანამედროვე ტექნოლოგიურ სტანდარტებსა და პრაქტიკას.[47]

ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს: მონაცემთა დამუშავების ხასიათი, მასშტაბი და მიზნები; დამუშავებასთან დაკავშირებული საფრთხეები და მათი შესაძლო გავლენა პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებზე; უსაფრთხოების თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები და მათი დანერგვის ხარჯები.[48]

ორგანიზაციული ზომები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მოიცავს: ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასებას; უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასა და მისი აღსრულების უზრუნველყოფას; თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას ტრენინგებითა და შიდა კომუნიკაციით; მონაცემებზე წვდომის მკაფიოდ

[45] EDPB Guide for Small Businesses, Secure Personal Data, <https://www.edpb.europa.eu/sme-data-protection-guide/home_en#home-title> [29.09.2025].

[46] *იქვე.*

[47] Recital 78, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016.

[48] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016.

განსაზღვრულ წესებსა და კონტროლს, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ან ერთეულის დანიშვნას, შესაბამისი რესურსებითა და უფლებამოსილებით და სხვა.

ტექნიკური ზომები კი, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (შენობებზე წვდომის კონტროლი, საკეტების და სიგნალიზაციის გამოყენება, ვიდეომონიტორინგი, დოკუმენტებისა და ელექტრონული ნარჩენების უსაფრთხო განადგურება, სერვერებისა და მოწყობილობების დაცვა), ასევე კიბერუსაფრთხოებას (ქსელების და პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარული განახლება, მავნე პროგრამებისგან დაცვა, სისტემური მონიტორინგი და საეჭვო აქტივობებზე რეაგირება).[49] ამავდროულად, პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპის დაცვა აუცილებელია არა მხოლოდ ტექნიკური სტანდარტების შესრულებისთვის, არამედ სამართლებრივი და რეპუტაციული რისკების თავიდან ასაცილებლად. მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა იწვევს როგორც მონაცემთა სუბიექტთა უფლებების შელახვას, ასევე შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგები და ადმინისტრაციული სანქციები. შესაბამისად, უსაფრთხოების ზომების რეგულარული გადახედვა, ტექნოლოგიების განახლება და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მონაცემთა დამუშავების კანონიერებას, ისე მონაცემთა სუბიექტთა ნდობას.

ზემოაღნიშნულ პრინციპებს ასევე არეგულირებს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“[50] და ე.წ. „საპოლიციო დირექტივა“.[51] მსგავსად ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნებისა, წინამდებარე სამართლებრივი აქტები აწესებს ვალდებულებას, რომ მონაცემთა უსაფრთხოების ზომების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს მონაცემთა დამუშავების რისკები, მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, დამუშავების მიზანი და ფორმა, თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი დანერგვის ხარჯები, აგრეთვე მონაცემთა სუბიექტთა უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები.

---

[49] Data Protection Commission, Data Security for Organisations <https://www.dataprotection.ie/en/organisations/know-your-obligations/data-security-guidance>.

[50] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) („რეგულაცია“ ან “GDPR”).

[51] Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA („საპოლიციო დირექტივა“).

კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მდგომარეობა საჯარო უწყებათა მხრიდან წარმოდგენილი აღრიცხვის ფორმების მიხედვით სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით შეფასდა და გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მონაცემთა უსაფრთხოების საკითხი ზოგადად განხილულია, თუმცა მისი ტექნიკური ასპექტი ნაკლებად არის შეფასებული სიღრმისეულად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციულ ზომებზე, მაშინ როცა ტექნიკური მექანიზმების აღწერა (როგორიცაა მონაცემთა დაშიფვრა, წვდომის კონტროლი, ქსელური დაცვა და სხვა) უმეტეს შემთხვევაში ზედაპირულია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

ქვემოთ წარმოდგენილია დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოვლენილი რამდენიმე საკვანძო ტენდენცია.

ტენდენციები და ცალკეული განმეორებადი ნაკლოვანებები:

- საჯარო სკოლათა და რესურსცენტრების უმრავლესობა ტექნიკურ-ორგანიზაციულ ზომებს აღწერს მხოლოდ ზოგადი ფორმულირებებით, როგორიცაა „პაროლდადებული სისტემა“, „ელექტრონულ სისტემაში ინდივიდუალური პაროლები“, „მატერიალური დოკუმენტაცია ინახება საცავში“. მსგავსი ზოგადი ინფორმაცია ვერ ასახავს უსაფრთხოების პოლიტიკის რეალურ მექანიზმებს და დაწესებულებებს არ მისცემს საშუალებას შეაფასონ მათი ეფექტიანობა;
- ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა ან უწყების ხელმძღვანელის ბრძანება, თუმცა არ არის განმარტებული, რა კონკრეტული ტექნიკური და ორგანიზაციული ნაბიჯები გადაიდგა ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- ხშირია შემთხვევები, როდესაც შესაბამისი გრაფები საერთოდ ცარიელია ან მითითებულია მხოლოდ სამართლებრივი აქტის დასახელება, მაგრამ არ არის აღწერილი, როგორ ხორციელდება ამ ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები პრაქტიკაში;
- აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აღრიცხვის დოკუმენტში უსაფრთხოების ზომების გრაფაში ასახულია „ღია ვებგვერდი“. აღნიშნული ფორმულირება ბუნდოვანია და აჩენს კითხვას იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეიძლება თავად ვებგვერდის ღიაობა ჩაითვალოს უსაფრთხოების ზომად, რაც მიუთითებს უსაფრთხოების ზომების შინაარსობრივი აღწერის არასაკმარისობაზე;

- ბევრ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ პაროლების პოლიტიკასა ან/და იმ გარემოებაზე, რომ მატერიალური დოკუმენტაცია ინახება სპეციალურ საცავში, რაც, მართალია, საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხებია, თუმცა არასაკმარის ღონისძიებას წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სავარაუდოა, რომ არასრულად აღწერს დაწესებულებების მიერ მიღებულ ზომებს;
- ნაკლებადაა აღწერილი ღონისძიებები, როგორიცაა ფიზიკური წვდომის კონტროლი სამუშაო სივრცეზე, ადმინისტრაციულ შენობებში შესვლისა და გასვლის მონიტორინგი, საცავების უსაფრთხოება, თანამშრომელთა რეგულარული გადამზადება, მონაცემებზე წვდომის კონტროლი და მონაცემთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა;
- ცალკეული სკოლები მონაცემთა უსაფრთხოებას ძირითადად სოციალურ ქსელებზე წვდომის შეზღუდვაზე (მაგალითად, "Facebook"-გვერდზე წვდომის მინიჭება მხოლოდ საინფორმაციო მენეჯერზე) ამყარებენ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ პროცესს ფარავს და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას მონაცემთა დამუშავების მთლიან ჯაჭვში;
- ხშირია შაბლონური ტექსტების გამოყენება მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა პროცესის მიმართ - დაწესებულების სპეციფიკისა და რისკების გათვალისწინების გარეშე, რაც მიანიშნებს, რომ ფორმების მითითებული გრაფა შესაძლოა შევსებული იყოს ფორმალურად და არა დაწესებულების საჭიროებებზე მორგებული მიდგომით.

დადებითი ტენდენციებიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ შემთხვევებზე:

- დადებითი პრაქტიკის მაგალითია ერთ-ერთი სამინისტროს მიერ წარმოდგენილი აღრიცხვის ფორმა, რომელშიც უსაფრთხოების ზომები ინდივიდუალიზებულია და მოიცავს როგორც მატერიალური დოკუმენტების, ისე ელექტრონულ სისტემებში დამუშავებული მონაცემების დაცვას. ეს მიდგომა აჩვენებს მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპის სწორ აღქმასა და პრაქტიკულ განხორციელებას. უფრო კონკრეტულად, უწყება განმარტავს, რომ უზრუნველყოფილია მატერიალურად შენახული მონაცემების დაცვა და წვდომის მკაცრი კონტროლი. აღრიცხვის დოკუმენტში აღწერილია მატერიალური დოკუმენტების უსაფრთხოების დასაცავად საჭირო წესები, კომბინირებულია ტექნიკური (მათ შორის, ყურადღება გამახვილებულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში მონაცემთა მიმართ განხორციელებულ მოქმედებების აღრიცხვის მეთოდზე, ვებაპლიკაციაზე

წვდომების დიფერენცირებაზე მინიმალური საჭიროების პრინციპის დაცვით (“need-to-know basis”), ლიცენზირებული ოპერაციული სისტემების და პროგრამების გამოყენებაზე, ელექტრონულ სისტემებზე ორმაგი ავტორიზაციით წვდომის დანერგვაზე, შიდა ქსელში ჩართული მოწყობილობებისთვის ინტერნეტ-რესურსებზე წვდომა შეზღუდვაზე და სხვა), ფიზიკური და ადმინისტრაციული ზომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოების მიმართ ყოვლისმომცველ მიდგომას. დასახელებული უწყების მიდგომა აჩვენებს, რომ უსაფრთხოების ზომები მორგებულია მონაცემთა ტიპსა და დამუშავების პროცესს. ტექნიკური, ფიზიკური და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ზომების კომბინირება მნიშვნელოვნად ამცირებს მონაცემთა უსაფრთხოების რისკებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მონაცემთა დაცვის თემატიკის მიმართულებით თანამშრომელთა გადამზადება უსაფრთხოების პოლიტიკის პრაქტიკულობას და რეალურ ეფექტიანობას აძლიერებს;

- კარგი პრაქტიკის ილუსტრაციას ასევე წარმოადგენს ერთ-ერთი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი აღრიცხვის ფორმა, რომელიც გამოირჩევა როგორც მონაცემთა დამუშავების ტიპზე მორგებული მიდგომით, ისე ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსური ინტეგრაციით. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები აღწერილია დამუშავების პროცესის მიხედვით: მაგალითად, გატარებული ზომები ეხება კორესპონდენციის მართვის ჭრილში დამუშავებული მონაცემების დაცვას, ხოლო განსხვავებული მექანიზმებია დადგენილი ვიდეომონიტორინგის განხორციელების უსაფრთხოების შემთხვევებისთვის. აღნიშნული მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი არ შემოიფარგლება ერთიანი, შაბლონური მიდგომით და აფასებს სპეციფიკურ რისკებს. ამასთან, უნივერსიტეტი ახორციელებს კომპლექსურ უსაფრთხოების პოლიტიკას, კერძოდ: ელექტრონულ სისტემებზე და ვიდეომონიტორინგის სისტემაზე წვდომა ხორციელდება ინდივიდუალური მომხმარებლის ანგარიშებითა და რთული, კომპლექსური პაროლებით, ხოლო წვდომის დონე განისაზღვრება თანამშრომელთა სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების მიხედვით; სისტემებში მონაცემებთან მიმართებით განხორციელებული ყველა მოქმედება აღირიცხება, რაც ზრდის ანგარიშვალდებულებას და უზრუნველყოფს ინციდენტების დროულად აღმოჩენას; ადმინისტრაციულ შენობებში შესვლა/გასვლა შეზღუდულია და კონტროლდება; საცავები დაკეტილია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის; თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ

ტრენინგები მონაცემთა დაცვისა და დამუშავების სტანდარტებზე, რაც აძლიერებს შიდა პასუხისმგებლობას და ცნობიერებას;

- უსაფრთხოების ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომების აღწერის ფარგლებში დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა ასევე ერთ-ერთი კოლეჯის შემთხვევაში, რომლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტშიც დეტალურად არის აღწერილი მონაცემთა დაცვის უსაფრთხოების სისტემა, მომხმარებლის სისტემაში ყოფნის დროისა და ავტორიზაციის მართვის მექანიზმები, ასევე უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სესიის ავტომატური შეწყვეტის ზომები.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, რომ ზოგადი ფრაზები ჩანაცვლდეს კონკრეტული მექანიზმებით: უსაფრთხოების ზომების აღწერა უნდა ასახავდეს მაგ., არა მხოლოდ პაროლების არსებობას, არამედ პაროლების განახლების პოლიტიკას, ავტორიზაციის წესებს, წვდომის დონის განაწილებას, ინციდენტებზე რეაგირების მექანიზმებს და სხვა ტექნიკურ-ორგანიზაციულ საკითხებს. ამდენად, მიზანშეწონილია ორგანიზაციებმა უფრო დეტალურად აღწერონ ფიზიკური და ადმინისტრაციული უსაფრთხოების არსებული ზომები, რაც მათ საშუალებას მისცემთ შეაფასონ, საჭიროებს თუ არა რომელიმე მიმართულება დამატებით გაძლიერებას;
- საჭიროა განხორციელდეს ინფორმაციის აღრიცხვის ფორმების შევსების პრაქტიკის გაუმჯობესება და ინდივიდუალიზაცია: გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული დაწესებულების სპეციფიკა და რისკები, რათა აღრიცხვის ფორმები რეალურად ასახავდეს უსაფრთხოების მდგომარეობას და არ იყოს სახეზე მოთხოვნის მხოლოდ ფორმალური შესრულება.

9. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი - ინციდენტების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ევროპის სახელმწიფოებში მოქმედი რეგულაციების მსგავსად, ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინციდენტის ცნებას[52]. ინციდენტი არის მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების

[52] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (14/06/2023; №3144-XIმს-Xმპ) მე-3 მუხლის „წ“ ქვეპუნქტი.

არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

ცნების სწორად აღქმის და ინციდენტის არსებობის განსაზღვრის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია:

- მონაცემთა განადგურებად მიჩნეულ უნდა იქნეს შემთხვევა, რომლის შედეგად მონაცემები აღარ არსებობს/აღდგენას არ ექვემდებარება, ან აღარ არსებობს რაიმე გამოყენებადი ფორმით;
- მონაცემთა დაზიანება სახეზეა მაშინ, როდესაც მონაცემები შეიცვალა, გახდა არაზუსტი ან არასრული;
- მონაცემთა დაკარგვად უნდა ჩაითვალოს, როდესაც მონაცემები შესაძლოა კვლავ არსებობდეს, თუმცა ისინი აღარ არის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მფლობელობაში, ან როდესაც მონაცემები კვლავ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან ინახება, მაგრამ მას აღარ აქვს მათზე კონტროლი ან/და სათანადო წვდომა.[53]

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და მის სპეციალურ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ევალებათ, აღრიცხონ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული, მათ შორის, ინციდენტების შესახებ ინფორმაცია. კანონის მიხედვით, ინციდენტთან დაკავშირებული ცალკეული ვალდებულებების შესრულება (მაგალითად, ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება,[54] ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება[55]) დამოკიდებულია იმ შესაძლო შედეგებზე, რომელსაც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ ის იწვევს, თუმცა აღრიცხვის ვალდებულება ყველა აღმოჩენილ ინციდენტზე

[53] „რეკომენდაციები ინციდენტთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. გვ. 4. <https://pdps.ge/files/content/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-_1710401535.pdf>.

[54] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (14/06/2023; №3144-XIმს-Xმპ) 29-ე მუხლი.

[55] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (14/06/2023; №3144-XIმს-Xმპ) 30-ე მუხლი.

ვრცელდება, თუნდაც ის არ ექვემდებარებოდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ან/და მონაცემთა სუბიექტებისთვის შეტყობინებას.

კანონის 28-ე მუხლის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ნებისმიერ ინციდენტთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა სამსახურს წარუდგინონ. აღნიშნული ვალდებულების შესრულება სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული, ინფორმაციის სისტემატიზაციის, მისი შენახვის და პერიოდული განახლების გარეშე. შესაბამისად, მრავალი სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე კანონით დადგენილია ერთ-ერთი პროაქტიული ხასიათის ვალდებულება, რაც ინციდენტის აღრიცხვაში გამოიხატება.

თავისთავად, ინციდენტის თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვას წინ უნდა უსწრებდეს მისი აღმოჩენა. მონაცემთა სუბიექტების უფლებებისადმი მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისთვის საჭირო ღონისძიებების დროულად გასატარებლად, აუცილებელია, ის დროულად იქნეს აღმოჩენილი. ინციდენტი აღმოჩენილად, ხოლო დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ინციდენტის შესახებ ინფორმირებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო ინციდენტის შესახებ.[56] საყურადღებოა ისიც, რომ ინციდენტის აღმოჩენა უმეტესად არსებითად უკავშირდება მონაცემების უსაფრთხოების დასაცავად დაწესებულების მიერ მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ეფექტიანობას. მაგალითისთვის, ინციდენტების გამოსავლენად ეფექტიანი ზომების მიღება შესაძლოა გულისხმობდეს მონაცემთა დამუშავების პროცესში უჩვეულო აქტივობების აღმოსაჩენად ისეთი ტექნიკური მექანიზმების გამოყენებას, როგორიცაა ინფორმაციის ელექტრონული მიმოცვლის არხებში მონაცემთა ნაკადის და ე. წ. „ლოგების“ ანალიტიკა ან/და სხვა.

ზოგიერთი ტიპის ინციდენტის არსებობის ცალსახად გამოვლენა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ნაკლებ სირთულეს უკავშირდება და მათთან მიმართებით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სათანადო დონეზე ინფორმირებულობის მომენტის განსაზღვრაც შედარებით მარტივია. ზოგჯერ კი, იმის სათანადოდ დადგენას, შეიძლება თუ არა უსაფრთხოების დარღვევამ პერსონალური მონაცემების არამართლზომიერი დამუშავება გამოიწვიოს, დამატებითი ღონისძიებების გატარება

[56] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 თებერვლის №19 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმები და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

და დრო სჭირდება. შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ამგვარი ინციდენტის აღმოჩენის ზუსტი დროის განსაზღვრა, შესაძლოა, გარკვეულ შეფასებას მოითხოვდეს. მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაძლო ინციდენტის შესახებ ინფორმაციას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი რომელიმე მედიასაშუალებისგან ან სხვა მესამე პირისგან მიიღებს, იმთავითვე არ უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ინციდენტის შესახებ სათანადოდ ინფორმირებულია. ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ინციდენტის არსებობის ვარაუდის სარწმუნოობის დასადგენად შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული გონივრული პერიოდი. თავის მხრივ, ინციდენტის აღმოჩენისა და მისი შესაძლო შედეგების პირველადი შეფასებისთვის საჭირო ღონისძიებები დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მყისიერად, ყოველგვარი არასათანადო დაყოვნების გარეშე უნდა გაატაროს.[57]

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი, ერთგვარ ზოგად ჩანაწერს შეიცავს, რომლის მიხედვითაც აღრიცხვას ექვემდებარება „ინციდენტების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“. ხოლო ამ ინფორმაციის შინაარსს გარკვეულწილად აკონკრეტებს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები“ და ა.შ.

კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, კანონის 77-ე მუხლით, დაწესებულია პასუხისმგებლობის ზომა. ამდენად, მოცემულობა, როდესაც ინციდენტი აღმოჩენილია, მაგრამ არ არის აღრიცხული, შესაბამისი სანქციის დაკისრების საფუძველს ქმნის.

საჯარო დაწესებულებების მიერ უკუკავშირის სახით წარმოდგენილი მასალების გაანალიზების შედეგად, ირკვევა:

- უწყებების მიერ შექმნილ დოკუმენტებში, უმეტესად ერთ-ერთი გრაფა ინციდენტის თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვას ეთმობა, ამასთან, თითოეულ მონაცემთა დამუშავების პროცესთან მიმართებით აღნიშნული გრაფა, ძირითადად,

[57] „რეკომენდაციები ინციდენტთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. 2024 წელი. გვ. 6. <https://pdps.ge/files/content/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-_1710401535.pdf>.

ღიად არის დატოვებული. შესაბამისად, არ არის დაფიქსირებული, კონკრეტულ მონაცემთა დამუშავების პროცესში ინციდენტი არის თუ არ არის აღმოჩენილი. სავარაუდოა, რომ მსგავს შემთხვევებში ნაგულისხმევია ინციდენტის არარსებობა, თუმცა ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, მიზანშეწონილია, კონკრეტული ინფორმაცია მკაფიოდ იყოს ასახული;

- უკუკავშირის სახით წარმოდგენილ მასალებს შორის აღსანიშნავია ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების მიერ ინციდენტის თაობაზე აღრიცხული ინფორმაცია. მასში მოცემულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ჩატარებული არაგეგმური შემოწმების საფუძვლად არსებული ბრძანების რეკვიზიტები, სამართალდარღვევა, რომელიც დაწესებულების მიმართ გამოვლინდა, სახდელის ზომა, რომელიც უწყების მიმართ იქნა გამოყენებული, მონაცემთა სუბიექტის სახელი და გვარი, რომლის მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხიც იქნა შესწავლილი, სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნომერი და სხვა. მსგავსი დეტალური ინფორმაციის ასახვის შემთხვევაში, დაწესებულებისთვის კონკრეტული ინციდენტის შინაარსის, შედეგების თაობაზე ინფორმაცია ადვილად მიკვლევადი სავარაუდოდ იქნება, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მასთან მიმართებით მიღებული ზომების თაობაზე ინფორმაციის ორგანიზაციის მასშტაბით მოძიებაც მოხერხდება. თუმცა მონაცემთა სუბიექტების სახელებისა და გვარების მითითება, იმგვარ განზოგადებულ მასალაში, რომელიც კანონის 28-ე მუხლის მიხედვით უნდა არსებობდეს, ნაკლებად მიზანშეწონილია. ასევე, უმჯობესია სამსახურის გადაწყვეტილების რეკვიზიტებთან ერთად უშუალოდ ინციდენტის არსი, მისი შედეგები და მიღებული ზომები ამავე (აღრიცხვის მიზნით შექმნილ) დოკუმენტში განზოგადებულად აღიწეროს. მაგალითად, მითითებულ იქნეს, რომ დაწესებულების კონკრეტული ელექტრონული სისტემიდან პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაცია გამჟღავნდა; აღნიშნულის თაობაზე შეფასდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებმაც სათანადოდ ვერ დაიცვეს მონაცემების უსაფრთხოება; შეიცვალა სისტემაში არსებული მონაცემების მიმართ განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვის მეთოდი (ე. წ. „ლოგირების“ მეთოდი) და პაროლების პოლიტიკა; ინციდენტის თაობაზე მეტი ინფორმაცია ასახულია ცალკეულ დოკუმენტში (აქ შეიძლება დასახელებული იყოს სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება, მეტი ინფორმაციის მიკვლევადობის მიზნით);
- ერთ-ერთი დაწესებულების მიერ აღრიცხულია ვიდეომონიტორინგთან დაკავშირებული ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია, დაკონკრეტებულია ინციდენტის თარიღი და შინაარსი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ

მოწყობილობა დაფორმატდა, ამდენად, მონაცემები განადგურდა. ამავდროულად, აღრიცხულ ინფორმაციას შორის ასახული არ არის ინციდენტთან დაკავშირებით მიღებული ზომები. თავის მხრივ, მიღებული ზომები შესაძლოა უკავშირდებოდეს ინციდენტის გამომწვევი მიზეზების გაანალიზებას, მისი შედეგების შესარბილებლად გატარებულ ღონისძიებებს. გასათავლისწინებელია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დაწესებულება მიიჩნევს, რომ ინციდენტს არსებითი მნიშვნელობის უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია, აუცილებელია მითითებული ინფორმაცია მაინც აღირიცხოს, ვინაიდან, შესაძლოა კონკრეტული შემთხვევის შედეგები მიმდინარე მდგომარეობით ხილვადი არ იყოს, თუმცა დროთა განმავლობაში მდგომარეობის ცვლილებით იმგვარი გარემოებები გამოვლინდეს, რამაც ინციდენტის შედეგების მიმართ დაწესებულების პოზიცია შეცვალოს. მსგავსი ინფორმაციის დამუშავება ღირებულია, ასევე, მონაცემების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის მიმართ ინსტიტუციური მეხსიერების შექმნის თვალსაზრისით;

- ერთ-ერთი საჯარო უწყების მიერ შექმნილი დოკუმენტის ინციდენტის არსებობის თაობაზე გრაფაში ასახულია ზოგადი ხასიათის ინფორმაცია და ამავე მიმართულებით - ინციდენტის აღრიცხვასთან დაკავშირებით დაწესებულების მიდგომები. დოკუმენტში მონაცემების დამუშავების ერთ-ერთ პროცესად დასახელებულია ადამიანური რესურსების მართვის მიმართულება და ინციდენტის თაობაზე გრაფაში დაფიქსირებულია შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულება აღრიცხავს ინციდენტს, დამდგარ შედეგს, მიღებულ ზომებს და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა, მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ასევე, დაწესებულება ამავე გრაფაში მიუთითებს, რომ ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის სიმძიმის შეფასებისას, ხელმძღვანელობს „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 თებერვლის №19 ბრძანებით“. ამდენად, დაწესებულების მიერ ფაქტობრივად მხოლოდ აღწერილია ზოგადი სამართლებრივი ხასიათის დებულებები, რომლებიც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ ყველა

პირს ეკისრება ინციდენტის აღმოჩენის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შინაარსის ჩანაწერები არ შეესაბამება კანონის 28-ე მუხლის დანიშნულებას. მოცემული ნორმის შესასრულებლად, აუცილებელია, რომ მონაცემების დამუშავების კონკრეტულ პროცესთან მიმართებით დაწესებულებამ აღრიცხოს, ჰქონდა თუ არა ადგილი ინციდენტს, რა შედეგები მოჰყვა მას და რა ზომები იქნა მიღებული მოცემულ შემთხვევაში.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამუშავების შესაბამისი პროცესის გასწვრივ, სათანადო გრაფა დაწესებულებებმა არ დატოვონ ღიად და ინციდენტის თაობაზე კონკრეტულად მიუთითონ მისი დაფიქსირების შესახებ;
- იმ შემთხვევაში, თუკი აღრიცხულია ინფორმაცია ინციდენტის არსებობის თაობაზე, საჭიროა მითითებული იყოს მასთან დაკავშირებით მიღებული ზომები;
- მიუხედავად იმისა, მოჰყვა თუ არა მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგები ინციდენტს, საჭიროა, რომ ინციდენტის აღწერისა და მასთან დაკავშირებით მიღებული ზომების გარდა, მონაცემების დამუშავების პროცესების აღრიცხვის მიზნით შექმნილ დოკუმენტში ინციდენტის შედეგებიც აისახოს;
- დოკუმენტში, რომელიც მონაცემთა დამუშავების მრავალი პროცესის თაობაზე კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად აღრიცხულ ინფორმაციას აერთიანებს, ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია იმგვარად შეიძლება აღირიცხოს, რომ მასში ყველა პირის მონაცემები არ აისახოს, რომლებსაც ინციდენტი შეეხო. ამ შემთხვევაში უმჯობესია შესაბამის გრაფაში მიეთითოს დაწესებულებისთვის ხელმისაწვდომი კონკრეტული მასალის, წყაროს თაობაზე ინფორმაცია, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მომხდარი ფაქტის თაობაზე დამატებითი გარემოებების მოძიების საშუალებას მისცემს;
- ინციდენტის თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებას მხოლოდ ზოგადი სამართლებრივი ნორმები და დებულებები აქვს აღრიცხული, რომლებიც ინციდენტის აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედების სხვადასხვა ვალდებულებას აკისრებს. აღნიშნული ნორმები თავისთავად მნიშვნელოვანია და მათი ზედმიწევნით ცოდნა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ თითოეულ პირს ევალება, თუმცა კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნათა შესასრულებლად საჭიროა, რომ მონაცემების დამუშავების კონკრეტულ პროცესთან კავშირში იქნეს აღწერილი ადგილი ჰქონდა თუ არა ინციდენტს, აღნიშნულზე დადებითი პასუხის

შემთხვევაში ასახული იყოს შესაბამისი ინციდენტის შედეგები და მიღებული ზომები.

10. კანონის 28-ე მუხლის მეორე პუნქტის შესრულების მდგომარეობა, ტენდენციები და რეკომენდაციები

კანონის 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები განსხვავებულ სუბიექტებს მიემართება და სხვადასხვა მოცულობის ინფორმაციის აღრიცხვას მოითხოვს. თუკი კანონის 28-ე მუხლი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს (და სპეციალურ წარმომადგენელს, თუ ასეთი არსებობს) აკისრებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულებას, აღნიშნული ნორმის მეორე პუნქტი კონკრეტულად დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული სუბიექტების ვალდებულებას განსაზღვრავს, ხოლო აღრიცხული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ იმ კომპონენტებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება უფლებამოსილი პირის ფუნქციურ მონაწილეობას მონაცემთა დამუშავების პროცესში.

კანონის ამგვარი დიფერენცირებული მიდგომა, პირველ რიგში, განპირობებულია სუბიექტთა სტატუსით. ვინაიდან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი თავად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, შესაბამისად, მის ვალდებულებას წარმოადგენს დეტალურად აღრიცხოს ინფორმაცია, რომელიც დამუშავების სრულ პროცესს ასახავს. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი კი მოქმედებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც მას დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა გადაანდო.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების მხრიდან გამოვლენილი აქტიურობის პარალელურად, კანონის 28-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თვალსაზრისით უკუკავშირი დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მხრიდან მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იქნა წარმოდგენილი. სამსახურისთვის გაზიარებული დოკუმენტების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სხვადასხვა დაწესებულება ინფორმაციის აღრიცხვის ფორმაში კონკრეტულ ორგანიზაციებს განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავებისთვის უფლებამოსილ პირებად, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების

დამუშავებასთან დაკავშირებული აღრიცხვის დოკუმენტი თავად ამ დაწესებულებათა მიერ არ არის წარმოდგენილი.

კანონის 28-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მდგომარეობის კვლევის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტებში ხშირად არ არის მოხსენიებული კონკრეტული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა, რომლის მიერ განსაზღვრული მიზნითა და საშუალებებითაც მუშავდება მონაცემები. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების ნაწილში ერთ-ერთ დოკუმენტში მითითებულია ფრაზა: „ინიციატორი უწყება“, ხოლო სხვა დოკუმენტში ვხვდებით ჩანაწერს - „გარე უწყება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს.... ადმინისტრაციულ შენობაში“. ხაზგასასმელია, რომ მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილ აღრიცხვის დოკუმენტში ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და იმ პროცესის შესახებ, რომლის ფარგლებშიც მათ შორის გამიჯნულია სტატუსები და როლები.

ერთ-ერთმა საჯარო დაწესებულებამ სამსახურში წარმოადგინა ორი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის აღწერილი ორგანიზაციის საქმიანობა, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებლის, ასევე დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის რანგში. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთისგან შინაარსობრივად განცალკევებულია და ორგანიზაციის მიერ ცალსახად არის გამოყოფილი სხვადასხვა როლის ფარგლებში შესრულებული ფუნქციები. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს უფლებამოსილი პირის სტატუსით წარმოდგენილი დოკუმენტი, ვინაიდან მასში მითითებულია ყველა ის ძირითადი კომპონენტი და ინფორმაცია, რომლის აღრიცხვაც ამ სტატუსის მქონე პირის ვალდებულებაა.

კანონის 28-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით წარმოდგენილი მასალიდან ცალკე უნდა აღინიშნოს იმგვარი დოკუმენტები, რომელთა ფარგლებშიც საჯარო უწყებებს ჩამოთვლილი აქვთ მონაცემთა დამუშავების კონკრეტული პროცესები და მათ გასწვრივ გრაფებში ასახული აქვთ საკუთარი სტატუსი - „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი“. შესაბამისად, ამგვარი ფორმატის დოკუმენტები იძლევა შესაძლებლობას, ერთი და

იმავე საჯარო უწყების ფარგლებში მიმდინარე მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა პროცესში მისი მონაწილეობა განსხვავებული სტატუსით დაიდენტიფიცირდეს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

კანონის 28-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ფარგლებში მხოლოდ ერთეული დოკუმენტი იქნა საჯარო უწყებების მხრიდან გაზიარებული, რაც განზოგადებული ტენდენციების გამოსაკვეთად არ არის საკმარისი, თუმცა, ზოგადი რეკომენდაციის სახით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი აღრიცხვის დოკუმენტი უნდა იყოს მკაფიო და კონკრეტული შინაარსის მატარებელი, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის არსებული ურთიერთობის თავისებურებას მორგებული. ასევე, დოკუმენტში ასახული უნდა იყოს ყველა ინფორმაცია, რომლის მითითების სავალდებულობას კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, უპირველეს ყოვლისა კი, დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობისა და საკონტაქტო მონაცემების შესახებ.

თავი IV. პრეცედენტული გადაწყვეტილებები

საერთაშორისო პრაქტიკა:

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის (“GDPR”) 30-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პროცესების აღრიცხვის ვალდებულება წარმოადგენს ანგარიშვალდებულების პრინციპის პრაქტიკული განხორციელების ძირითად მექანიზმს.[58] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა ნათლად ასახავს, რომ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა მხოლოდ ფორმალური ვალდებულება არ არის - რეესტრში ინფორმაციის დეტალური და გამჭვირვალე ასახვა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას “GDPR”-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და მონაცემთა სუბიექტების დასაცავად.

[58] Stephenson Harwood, “Four key decisions mark the end of the EU GDPR's fourth year” (2023) <https://www.stephensonharwood.com/news/four-key-decisions-mark-the-end-of-the-eu-gdpr's-fourth-year>.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომლებიც ასახავს "GDPR"-ის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების პრაქტიკულ შესრულებას და ხარვეზების სამართლებრივ შედეგებს.

1. ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველოს ორგანოს (BE DPA) 2022 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება[59]

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ("BE DPA") 2022 წლის 21 იანვარს მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება „ევროპის ინტერაქტიული რეკლამის ბიუროს" ("Interactive Advertising Bureau Europe – IAB Europe") წინააღმდეგ და დაადგინა, რომ ბიუროს მიერ შემუშავებული ტექნიკური და სამართლებრივი სტანდარტების ერთობლიობა - ე.წ. „გამჭვირვალობისა და თანხმობის ჩარჩო" ("Transparency and Consent Framework - TCF"), რომელიც მიზნად ისახავდა რეკლამის ინდუსტრიაში მომხმარებელთა თანხმობის მართვასა და მათი მონაცემების დაცვას - არღვევდა "GDPR"-ის მოთხოვნებს.[60]

საგულისხმოა, რომ 2019 წლიდან ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს წარედგინა არაერთი საჩივარი "IAB Europe"-ის წინააღმდეგ. საჩივრები ეხებოდა ზემოთ აღწერილ ჩარჩოს - "TCF"-ს, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ე.წ. „რეალურ დროში აუქციონის" ("Real Time Bidding - RTB") მიზნებისთვის. "RTB" არის ავტომატური აუქციონი, რომლის დროსაც სხვადასხვა კომპანიები ერთმანეთს რეკლამის სივრცისთვის კონკურენციას უწევენ, რათა კონკრეტულ მომხმარებელს ვებგვერდზე შესვლისას გამოუჩნდეს მათი რეკლამა. "TCF"-ის სისტემის ფარგლებში, როდესაც მომხმარებელი პირველად შედის ვებგვერდზე ან აპლიკაციაში, ჩნდება სპეციალური ფანჯარა, რომლის მეშვეობით მას შეუძლია დააფიქსიროს თანხმობა ან უარი განაცხადოს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. მიღებული არჩევანი ინახება უნიკალური კოდის სახით და გაზიარდება რეკლამის გავრცელებაში ჩართულ კომპანიებთან, რათა მათ იცოდნენ, რომელ მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადა თანხმობა მომხმარებელმა. ამგვარად, სისტემა რეალურად განსაზღვრავს, ვის შეუძლია გამოიყენოს მომხმარებლის მონაცემები რეკლამის მიზნებისთვის, რის გამოც "TCF" წარმოადგენს ონლაინ-რეკლამის ინდუსტრიის მნიშვნელოვან ელემენტს.

---

[59] Belgian Data Protection Authority, Litigation Chamber - *Decision on the merits 11/2022: Cross-border complaint relating to cookies* (Case No DOS-2018-05968) (2022).

[60] Belgian Data Protection Authority, "The BE DPA to restore order to the online advertising industry" (2022) <https://www.dataprotectionauthority.be/citizen/iab-europe-case-the-cjeu-answers-the-questions-referred-for-a-preliminary-ruling>.

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ სწორედ ამ ჩარჩოს შესაბამისობა შეაფასა "GDPR"-ის შესაბამის მუხლებთან და დაადგინა რიგი დარღვევები, მათ შორის **ანგარიშვალდებულების პრინციპისა და მონაცემთა დამუშავების აღრიცხვის ვალდებულების ("GDPR"-ის 30-ე მუხლი)** ჭრილში.

კერძოდ, მონაცემთა დამუშავების აღრიცხვის ვალდებულებასთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანომ დაადგინა:

"IAB Europe"-ის მიერ წარმოებული მონაცემთა დამუშავების რეესტრში აღრიცხული არ იყო მესამე ქვეყნები, სადაც ხდებოდა პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემა. ამის ნაცვლად, რეესტრში მითითებული იყო ბმულები მომსახურების მიმწოდებლების დოკუმენტებზე, რომლებთანაც "IAB Europe"-ს ჰქონდა ხელშეკრულება დადებული, რომლის საფუძველზეც ხდებოდა მონაცემთა გადაცემა. ორგანიზაცია თავის პოზიციას ამართლებდა არგუმენტით, რომ სერვერების მდებარეობა და კონკრეტული ქვეყნები, სადაც მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხდებოდა მონაცემთა გადაცემა, დროთა განმავლობაში იცვლებოდა. შესაბამისად, უმჯობესი იყო აღრიცხულიყო არა ქვეყნები, სადაც ხდებოდა გადაცემა, არამედ აღრიცხვის რეესტრში ყოფილიყო მითითება დოკუმენტებზე, რომლებშიც ყოველთვის განახლებული ინფორმაცია იყო ხელმისაწვდომი.

ბელგიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ აღრიცხვის ასეთი პროცესი არ აკმაყოფილებდა "GDPR"-ის 30-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, 30-ე მუხლის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმეგებლმა პირმა უნდა აღრიცხოს კონკრეტული მესამე ქვეყნები (მკაფიო და იოლად იდენტიფიცირებადი ჩამონათვალის გზით), სადაც ხდება მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა. აღნიშნული მოთხოვნა განმტკიცებულია მესამე ქვეყნებში მონაცემთა გადაცემის თაობაზე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) უახლესი პრაქტიკით.[61]

განხილული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა მხოლოდ ფორმალური ვალდებულება არ არის – რეესტრში დეტალური და გამჭვირვალე ინფორმაციის ასახვა, მათ შორის, მონაცემთა მიმღები მესამე ქვეყნების თაობაზე, წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას "GDPR"-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

[61] Belgian Data Protection Authority, Litigation Chamber - *Decision on the merits 11/2022: Cross-border complaint relating to cookies* (Case No DOS-2018-05968) (2022).

2. პოლონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს 2024 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება[62]

2024 წლის 18 დეკემბერს პოლონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება კომერციული ბანკის - "Toyota Bank Polska S.A." წინააღმდეგ და დაადგინა რიგი დარღვევები, მათ შორის, **ანგარიშვალდებულების პრინციპისა და მონაცემთა დამუშავების აღრიცხვის ვალდებულების** ჭრილში.

უშუალოდ აღრიცხვის ვალდებულებასთან მიმართებით საზედამხედველო ორგანომ დაადგინა შემდეგი: კომერციული ბანკი მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შესაფასებლად მონაცემთა სუბიექტების დიდი რაოდენობით ინფორმაციას ამუშავებდა, მათ შორის, „პროფაილინგის" გზით. ამავე მიზნით მუშავდებოდა მომხმარებელთა საკრედიტო ქულის ("Credit Score") შესახებ მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო მონაცემთა მასშტაბური დამუშავება, ბანკის მიერ წარმოებულ მონაცემთა დამუშავების აღრიცხვის დოკუმენტში ("ROPA") არ იყო სრულად ასახული მონაცემთა დამუშავების პროცესი, მათ შორის – პროფაილინგი. საზედამხედველო ორგანომ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა მონაცემთა მასშტაბური დამუშავების დოკუმენტირების და ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღრიცხვის აუცილებლობას.

აღნიშნული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა "GDPR"-ის 30-ე მუხლის შესაბამისად არა მხოლოდ ფორმალური ვალდებულებაა, არამედ „ანგარიშვალდებულების" პრინციპის პრაქტიკული მექანიზმი. აღრიცხვის ჩანაწერების არარსებობა ან არასრული წარმოება ხელს უშლის მონაცემთა სუბიექტთა უფლებების დაცვას, რაც იწვევს სანქციებსა და მომხმარებელთა ნდობის დაკარგვას.

3. ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს 2023 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება[63]

2023 წლის 26 დეკემბერს ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ("AEPD") მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალური

[62] European Data Protection Board, "Polish SA: administrative fine of €132 000 for improper positioning of the DPO and failure to include profiling in documentation" (2024) <https://www.edpb.europa.eu/news/national-news/2025/polish-sa-administrative-fine-132-000-eu-improper-positioning-dpo-and_en>.

[63] Spanish Data Protection Agency, Sanction imposed on the City Council for not having a record of processing activities" (2023) <https://derecholocal.es/criterio-novedoso/sancion-a-ayuntamiento-por-no-disponer-del-registro-de-actividades-de-tratamiento>.

ორგანოს წინააღმდეგ. საქმეს საფუძლად დაედო მონაცემთა სუბიექტის საჩივარი, რომელმაც მუნიციპალიტეტს მიმართა განცხადებით და მოითხოვა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების აღრიცხვის ჩანაწერის ("RAT") ასლის მიწოდება, მონაცემებზე წვდომის უფლების განხორციელების მიზნით.

მუნიციპალიტეტმა აღიარა, რომ მოთხოვნის წარდგენის დროისთვის აღრიცხვის რეესტრი არ გააჩნდა, რის გამოც ვერ უზრუნველყო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

გადაწყვეტილებაში ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია ძალაში შევიდა 2016 წელს და სრულად მოქმედი გახდა 2018 წლის მაისიდან. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს ჰქონდათ საკმარისი დრო რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა არ არის მხოლოდ ფორმალური ვალდებულება, არამედ წარმოადგენს აუცილებელ მექანიზმს როგორც ანგარიშვალდებულების პრინციპის პრაქტიკული განხორციელებისთვის, ისე მონაცემთა სუბიექტთა უფლებების დასაცავად.

საბოლოოდ, AEPD-მ დაადგინა "GDPR"-ის 30-ე მუხლისა და ესპანეთის სამეფოს სექტორული კანონმდებლობის დარღვევა.

სამსახურის პრაქტიკა:

1. სამსახურმა საზედამხედველო ფუნქციების მქონე ერთ-ერთი საჯარო დაწესებულების მიერ ინსპექტირების პროცესში სამხრე კამერების მეშვეობით აუდიოჩაწერის/აუდიოკონტროლის და ვიდეოჩაწერის/ვიდეოკონტროლის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება შეისწავლა.

შემოწმების პროცესში, მათ შორის, გამოვლინდა, რომ დაწესებულება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების პრაქტიკაში განხორციელებას, უწყების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული პროცედურის დაცვას/შესრულებას უკავშირებდა. კერძოდ, აღნიშნული წესი, ინსპექტირების განმახორციელებელი დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ, სხვადასხვა რგოლის მენეჯერებისთვის საქმისწარმოების პროგრამის საშუალებით შესრულებული სამუშაოს ანგარიშგების პროცედურასა და პერიოდულობას განსაზღვრავდა. დაწესებულების განმარტებით, რამდენადაც ინსპექტირების ფარგლებში შედგენილ თითოეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებით სამხრე

კამერების საშუალებით შექმნილი ვიდეო- და აუდიოჩანაწერები არსებობდა, ზემოხსენებული ინდივიდუალური ანგარიშგების გზით, მათ შესახებ ინფორმაციაც აღირიცხებოდა.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების მიერ დამკვიდრებულ ინდივიდუალური ანგარიშგების პროცესში კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციისგან განსხვავებული ცნობები აღირიცხებოდა. სამსახურმა განმარტა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, პერსონალური მონაცემების შემცველი მასალის, ან კონკრეტული მონაცემთა დამუშავების შემთხვევების შესახებ, თანამშრომლების მიერ ზემდგომი თანამდებობის პირების ინფორმირებიდან, მათ წინაშე ანგარიშვალდებულებიდან გამომდინარე, ცალკეული დოკუმენტების, მაგალითად, ყოველთვიური ანგარიშების შექმნას არ მოიაზრებს.

მითითებული საქმის ფარგლებში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დარღვევის გამო, დაწესებულება კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი. ამასთან, სამხრე კამერების მეშვეობით ვიდეო- და აუდიომონიტორინგის გზით მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვის თაობაზე გაცემულ იქნა დავალება.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გეგმური შემოწმებების (ინსპექტირების) ფარგლებში შეისწავლა არაერთი ორგანიზაციის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერება.

შემოწმებების ფარგლებში დადგინდა, რომ რამდენიმე მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ ჰქონდა შემუშავებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის დოკუმენტი. იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა კანონის 77-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს, ხსენებულ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრათ. რამდენიმე შემთხვევაში კი აღნიშნული დოკუმენტი სრულად არ შეიცავდა კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას ან ასახული იყო სხვადასხვა მოცულობით დოკუმენტში.

ერთ-ერთი კომპანიის მიერ წარმოდგენილი აღრიცხვის დოკუმენტი სრულყოფილად არ შეიცავდა კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“[64] და „ზ“[65] ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციას. კერძოდ, დოკუმენტში მითითებული იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა, თუმცა არ იყო ასახული მისი საკონტაქტო მონაცემები. ამასთან, მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომების ზოგადი აღწერისთვის განკუთვნილი ველი შეიცავდა მხოლოდ მონაცემების შიფრაციის კოდის თაობაზე ინფორმაციას, უსაფრთხოების სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების შესახებ ინფორმაცია კი არ იყო ასახული. გარდა ამისა, დოკუმენტში მონაცემთა თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების შესახებ ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველში კომპანიაში დასაქმებული ფიზიკური პირების მონაცემები იყო ასახული.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის/პორტალის მეშვეობით მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ასახული იყო უნივერსიტეტის სხვადასხვა მოცულობითი დოკუმენტის ცალკეულ ნაწილებში[66] განსხვავებული შინაარსის ინფორმაციასთან ერთად. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ მითითებულ დოკუმენტებში აღრიცხული ინფორმაცია განზოგადებული სახით იყო მოცემული და არ შეიცავდა ინფორმაციას, თუ მონაცემთა დამუშავების რომელ პროცესებს მიემართებოდა (მათ შორის, არ იკვეთებოდა ამ დათქმებში ასახული ინფორმაციის კონკრეტულად რომელი ნაწილი მიემართებოდა პორტალის საშუალებით დამუშავებულ მონაცემებს). ამასთან, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავდა ინფორმაციას პორტალის მეშვეობით სტუდენტების მონაცემების შენახვის ვადების ან/და მისი განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონის მოთხოვნათა შესრულება ნიშნავს თავად კანონის მიზნის რეალიზაციას, ხოლო კანონის მოთხოვნათა მხოლოდ ფორმალური დაკმაყოფილებისკენ მიმართული ქმედებები ვერ უზრუნველყოფს ხსენებული მიზნის მიღწევას. გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღინიშნა ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესებთან დაკავშირებით კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის

[64] დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია.
[65] მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ზოგადი აღწერა.
[66] პოლიტიკის დოკუმენტი, „საინფორმაციო ბროშურა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე“, „ინციდენტის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების პოლიტიკა“.

დოკუმენტის მნიშვნელობა და მასში მონაცემთა დამუშავების პროცესების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით გაიცა შესაბამისი დავალებები.